კავკასიის საერთასორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობისა და საერთაშორისო

უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი ლია ჯამბურია

სამაგისტრო ნაშრომი

რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

კსუ-ს ასოცირებული პროფესორი - თამარ კიკნაძე

თბილისი 2019

ანოტაცია

სამხრეთ კავკასიას, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, სატრანზიტო ფუნქციით და რეგიონში არსებული ნავთობისა და გაზის რესურსებით, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონში არსებულ ქვეყნებ ს - საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი განსხვავებული საგარეო ვექტორი აქვთ არჩეული და თითეული მათგანი ცდილობს ამ ვექტორის შესატყვისი პოლიტიკის გატარებას.

მეცხრამეტე საუკუნიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე, ეს ქვეყნები ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ სსრკ-ს შემადგენლობაში შედიოდნენ. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ რუსეთს საკმაოდ მძიმე პერიოდი დაუდგა და იგი საკუთარი ქვეყნის შენარჩუნების პრობლემებით იყო დაკავებული. თუმცა მან შეძლო ღრმა კრიზისიდან გამოსვლა, ისევ მყარად დადგა ფეხზე და კვლავ გაუჩნდა საერთაშორისო ასპარეზზე ზესახელმწიფოს რანგში დაბრუნების ამბიცია. სტრატეგიულად კავკასია მისთვის მნიშვნელოვანი რეგიონია. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე გავლენის აღდგენა მისი ამოცანაა, რადგანაც ეს სამეზობლო არეალი მას საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების ზონად მიაჩნია,

რუსეთის ფედერაციისათვის სამხრეთ კავკასიის სამივე სუვერენული სახელმწიფო, სადაზვერვო ზეგავლენისა და შეღწევადობის მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს და დღეის მდგომარეობით, როგორც მართვის მყარ ბერკეტად გამოყენებულია ეთნიკური და რელიგიური ხასიათის კონფლიქტების ინსპირირება, და ბუფერულ ზონებად ჩამოყალიბებული სეპარატისტული რეჟიმები.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რუსეთის ინტერესების ტრანსფორმაცია მისი იმპერიული პოლიტიკის საწყისიდან დღემდე, ასევე განხილულია ის მექანიზმები და ბერკეტებიმ რომლითაც რუსეთი ცდილობს გაატაროს ეს პოლიტიკა და მიაღწიოს საკუთარ მიზნებს .

Annotation

Policy of Russia in South Caucasus

South Caucasus, by its geopolitical location, transit function and oil and gas resources in the region occupies significant place in nowadays international policy. After dissolution of Soviet Union countries of the region – Georgia, Azerbaijan and Armenia have selected different foreign vector and each of them tries to conduct policy corresponding to this vector.

From the nineteenth century before dissolution of Soviet Union these countries were in composition of Russian Empire, and than of USSR. After dissolution of Soviet Empire Russia was in very hard condition and it had to deal with problems of maintaining of the country. Although Russia succeeded with overcoming the deep crisis, it steadily stood on its feet again and obtained ambition to return on international field in the rank of superpower. Strategically Caucasus is important region for it. Its task is to restore influence over former Soviet Republics, because it considers this neighboring area as zone of its own vivid interests.

For Russian Federation all three sovereign states of South Caucasus are significant objects of intelligence influence and penetration and as of today, inspiration of conflicts of ethnical and religious character, as well as separatist regimens formed as buffering zones are used as solid lever of management.

The master's thesis reviews transformation of interests of Russia in the region of South Caucasus from beginning of its imperialistic policy up to present, there are also examined those mechanisms and levers by which Russia tries to conduct this policy and to achieve its goals.

Jamburia Lia

შინაარსი

შესავალი 5

1 თავი. რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ისტორიული ეტაპები და მეთოდოლოგიური ჩარჩო

1.1 კავკასიაში რუსეთის გამოჩენა და მისი ინტერესები 9

1.2 კავკასიის ანექსიის ძირითადი ეტაპები 16

1.3 საქართველოს როლი კავკასიის ათვისებაში 23

2 თავი . რუსეთის კავკასიური პოლიტიკა პოსტსაბჭოთა პერიოდში

2.1 ცივი ომის დასარული და რუსეთის ინტერსების ტრანსფორმირებული ხედვა 27

2.2 რუსეთის პოლიტიკა კავკასიის მიმართ პოსტსაბჭოთა პერიოდში…….....33

2.3 პოსტსაბჭოთა რუსეთის წინაშე მდგარი პოლიტიკური პრობლემები(ჩეჩნეთის ომი) 37

3 თავი . რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში დასავლეთის რეგიონებისადმი ინტერსეის ზრდის ფონზე

3.1 საქართველოს დასვლური ვექტორი, რუსეთ-საქართველოს გართულებული ურთიერთობები და ეთნიკური კონფლიქტები, 2008 წლის ომი 48

3.2 სომხეთი როგორც რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი 53

3.3 აზერბაიჯანი როგორც ტრიმერი.....55

3.4 რუსეთის კავკასიური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევბი და პერსპექტივები 57

დასკვნა.....64

გამოყენებული ლიტერატურა.....66

შესავალი

სამხრეთ კავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე არაერთი ქვეყნის ინტერესთა სფეროს გადაკვეთის წერტილს წარმოადგენს, კავკასია რუსეთისათვის დიდ გამოწვევას და, ამასთანავე, სერიოზულ სადაზვერვო ობოექტს წარმოადგენს, რასაც განსაკუთრებით ამძაფრებს თანამედრო პერიოდში მიმდინარე „ცივი ომის" ფონი, სადაც გავლენის სფეროების ახლებური გადანაწილებისათვის იბრძვიან, ერთის მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები და, მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაცია. ამ გადანაწილების დროს მთავარი ყურადღება გადატანილია ენერგორესურსებსა და სატრანზიტო გზებზე.

თემის აქტუალობა - აღნიშნული თემა საკმაოდ აქტუალურია და ძალზედ საინტერესო, დღითიდღე კი უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. კავკასიას რუსეთი თავისი გავლენის სფეროდ მოიაზრებს. რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართ ზეწოლის მექანიზმებს იყენებს და ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს მათ მიერ წარმოებულ პოლიტიკაზე.

საქართველოზე კონტროლის დამყარებით რუსეთი ფაქტობრივად, მთელ კავკასიას გააკონტროლებს, მაგრამ ამგვარი პერსპექტივა არ ჩანს, რადგან ქართული სახელმწიფო მკვეთრად პროდასავლურ კურსს ადგას. აზერბაიჯანიც ერთგვარი გამოწვევაა რუსეთისათვის, რადგან აქაც იკიდებს ფეხს დასავლური ღირებულები, რაც შეეხება სომხეთს იგი კვლავ რუსეთის სტრატეგიულ მოკავშირედ რჩება. ვფიქრობთ, ამ ვითარებაში რუსეთმა აირჩია გზა - შეუწყოს ხელი სეპარატისტულ ტენდენციებს აფხაზეთსა და ცხინვალის რაიონში და გააღვივოს შუღლი სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხებს შორის მთიანი ყარაბაღის გამო, საქართველოსთან მიმართებით გატარებული პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო საზოგადოების იმ აზრთან შეგუება, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი აღარასოდეს დაუბრუნდება საქართველოს. ამ ფონზე იგი ქმნის ყველა პირობას, თანამედროვე ეტაპზე ოკუპირებული ქართული ტერიტორიების რუსეთის ფედერაციასთან მთლიანად

შერწყმის (ანექსიის) თვალსაზრისით. პრაქტიკულად იქმნება შესაძლებლობა ძლიერი სამხედრო პლაცდარმის შესაქმნელად ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ჩვენი ქვეყნის მოსაზღვრე რეგიონებში, რაც სამხედრო უპირატესობის მოპოვებისა და საქართველოში ნატოს ქვეყნების ჯარების განლაგების საწინააღმდეგოდ ერთგვარი პრევენციაა.

თემის ჰიპოთეაზა - თემის ჰიპოთეზა შეიძლება შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ, სამხრეთ კავკასიის რეგიონი ისტორიულადაც და თანამედროვე პერიოდშიც რუსეთის ინტერესის სფეროს წარმოადგენს და ამ ინტერესების გატარებას იგი სხვა და სხვა მექანიზმით და ბერკეტებით ახორციელებს. რეგიონში რუსეთის მთავრი ინტერესი გაზისა და ნავთობის რესურსებია, მისი მოსაზღვრეობა ირანთან, ცენტრალური აზიის ქვეყნებთან და კასპიის რეგიონთან, რადგან ამ ქვეყნებში ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი მარაგია თავმოყრილი და აღნიშნული რესურსები სამხრეთ კავკასიაზე გავლით მიეწოდება დანარჩენ მსოფლიოს, რაც განსაკუთრებით დიდ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს რეგიონს და ამასთანავე რუსეთის ინტერესებიც ბევრად იზრდება რეგიონის მიმართ. ამ ინტერესების განხორციელებას მთელი რიგი გამოწვევი ახლავს, ამ ვითარებაში რუსეთმა აირჩია გზა ხელი შეუწყოს სეპარატისტულ ტენდენციებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში და გააღვივოს შუღლი სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხებს შორის მთიანი ყარაბაღის გამო.

საკვლევი კითხვები:

- რა ინეტერსბი გააჩნია რუსეთს სამხრეთ კავკასიაში ისტორიულად და თანამედროვე ეტაპზე?
- რა მექანიზმებით ცდილობს რუსეთი საკუთარი ინეტესების გატარებას სამხრეთ კავკასიაში?
- რა გამოწვევები და პერსპექტივები აქვს რუსეთის მიერ რეგიონში განხორციელებულ პოლიტიკას?

ნაშრომის მიზანი - სამაგისტრო ნაშრომის მიზნად ვისახავთ გავაანალიზოთ, შევაფასოთ და ვაჩვენოთ კავკასიაში რუსეთის ინტერესების სფერო და მისი პოლიტიკის გატარების მექანიზმები, როგორც ისტორიულ ჭრილში ასევე თანამედროვე ეტაპზე. აგრეთვე ჩვენი მიზანია გავაანალიზოთ კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის წინაშე მდგარი გამოწვევები და პერსპექტივები.

კვლევის მეთოდოლოგია - კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები უშუალოდ გამომდინარეობს საკვლევი ობიექტის არსიდან და თავისებურებებიდან. კვლევა ეყრდნობა საერთაშორისო პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებულ რეალიზმის სკოლის თეორიას, რომელსაც წარმოადგენს ჰანს მორგენთაუ, კენეთ უოლცი, ჯონ მერშაიმერი.

კვლევის მეთოდები - თემის დამუშავები დროს გამოვიყენეთ საერთაშორისო ურთიერთობებში აპრობირებული ძირითადი მეთოდები: ისტორიული, შედარებითი, შემეცნებითი, ლოგიკური, ფუნქციონალური, სიტუაციური ანალიზი, კონტენტ-ანალიზი, დოკუმენტების შესწავლა და მათი შედარება.

თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა - კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას აღნიშნული პრობლემატიკის მსგავსი სამეცნიერო კვლევების განხორციელებისას და განზოგადებულ იქნეს პრაქტიკაში, სახელმწიფო და საგარეო უწყებების, ფონდების და საზოგადოებრივი კვლევის ცენტრების მიერ, ასევე ნაშრომი დაეხმარება, როგორც მოცემული დარგის სპეციალისტებს, ისე იმ დაინტერესებულ პირებს, რომელთაც სურთ ამ მიმართულებით შეიძინონ გარკვეული ცოდნა.

ლიტერატურის მიმოხილვა - სამეცნიერო ნაშრომის შექმნისას გამოვიყენეთ შემდეგი ძირითადი ლიტერატურა **„ სამხრეთ კავკასია გზაჯვარედინზე : რთული რეალობა და დიდი მოლოდინები“ ნ.ლეჟავას ავტორობით - ჰაინრიხ ბიოლის ფონდი -თბილისი 2014.** ავტორი თავის

ნაშრომში მიმოიხილავს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში არსებულ ვითარებას - როგორც პოლიტიკური თვალსაზრისით, ისე პოსტსაბჭოთა მოდერნიზაციისა და სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობის კუთხით.

კვლევაში ასევე გამოვიყენეთ **ე. ლაზარაშვულის „ სამხრეთ კავკასიის პრობლემები და გამოწვევები"-თბილისი 2014**. ნაშრომში ავტორი აანალიზებს კავკასიაში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას, რაც ერთერთ ყველაზე ცხელ წერტილს წარმოადგენს , რეგიონში მწვავედ დგას რუსული, ქართული, სომხური და ზოგადად დასვლური ინტერესების თანხვედრის პრობლემა, ასევე ნაშრომში ასახულია თითოეული ქვეყნის პრობლემები და გამოწვწვბი.

ნაშრომის წერისას ასევე დავეყრდენით წიგნს **„გეოპოლიტიკა და უსაფრთხოება: ახალი სტრატეგია სამხრეთ კავკასიისათვის"**, რომელიც წარმოდგენილია კორნელი კაკაჩიას, ბენჟამენ ფრიკეს და შტეფან მაისტერისა ავტორობით, რომელთა მოსაზრებებიც დაგვეხმარა გაგვეაზრებინა სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული კონფლიქტების გავლენა მათ პოლიტიკაზე. ნაშრომზე მუშაობისას ასევე დავეყრდენით სხვადასხვა ექსპერტთა ანალიზს, სტატიებსა და მოსაზრებებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პრობლემატიკასთან დაკავშირებით.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა - სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ათი ქვეთავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან. (გვ 68)

თავი 1- რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ისტორიული ეტაპები და მეთოდოლოგიური ჩარჩო

XX -ის ბოლოს და XXI საუკუნის დასწყისში არსებული გლობალური კონფლიქტების შედეგად საერთაშორისო ურთიერთობები ხასიათდება "ტურბულენტებით"; წამოიჭრა ისეთი გლობალური საკითხები, როგორიცაა: ტერორიზმი, გარემოს დეგრადაცია, კლიმატი. ამ ვითარებაში თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში რეალურად არ არსებობს თეორია, რომელიც შეძლებს ბოლომდე ახსნას საერთაშორისო ურთიერთობების ფართო სპექტრი, რომელშიც მოიაზრება როგორც კონფლიქტური, ისე ურთიერთ თანამშრომლობის პოლიტიკა; თუმცა რეალიზმი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი თეორიაა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებს ძალუფლების გადმოსახედიდან აღწერს, შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც რუსეთის საგარეო პოლიტიკის საფუძვლად.

ამდენად ნაშრომის წერისას ძირითადად ვეყრდნობით რეალიზმის სკოლის წარმომადგენელთა თეორიებს, რომლის მიხედვითაც, მსოფლიოს თანამედროვე ურთიერთობების, ურთიერთქმედება დაფუძნებულია არა კანონზე არამედ ძალაუფლების პრინციპზე.

რეალიზმის მიმდევარ ყველა სახელმწიფოს აერთიანებს რწმენა ისინი არიან საერთაშორიოს ურთიერთობებში მთავარი მსახიობები და ძლიერნი აკეთებენ იმას, რისი გაკეთებაც თავიანთი ძალაუფლების წყალობით შეუძლიათ, ხოლო სუსტები იღებენ იმას, რისი თავიდან აცილებაც არ შეუძლიათ.

რეალიზმის ერთ-ერთ სერიოზულ დასაყრდენს წარმოადგენს ნიკოლო მაკიაველის თეზისები, რომელიც მთავრებს მიზანმიმართულად

ემოქმედებისაკენ მოუწოდებდა, რათა შეენარჩუნებიათ ძალაუფლება და ჰქონოდათ სახელმწიფოების მანიპულირების საშუალება[1].

გერმანელი წარმოშობის ამერიკელი პოლიტიკური მეცნიერი ჰანს მორგენთაუ ამტკიცებდა, რომ საერთაშორისო პოლიტიკა იმართება მიზანმიმართული უნივერსალური კანონებით, რომლებსაც, საფუძვლად უდევს ის აზრი, რომ ეროვნული ინტერესები განისაზღვრება ძალაუფლების გადმოსახედიდან, აგრეთვე იგი ამტკიცებდა, რომ არც ერთი ერი არ ყოფილა ღმერთისაგან გამორჩეული და, რომ ყოველი მათგანი მოქმედებდა გონივრულად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე.

პოლიტიკური რეალიზმი საგარეო პოლიტიკაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოქნილობას, ობიექტურობას და სენტიმენტალიზმის ნაკლებობას ანიჭებს. ამრიგად საერთაშორისო პოლიტიკაში არსებობენ არა მუდმივი მოკავშირეები, არამედ არსებობს მხოლოდ მუდმივი ინტერესები[2].

რეალიზმის თეორიიდან გამომდინარე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული შიდა სახელმწფო პოლიტიკასთან ამდენად რუსეთის მიერ გატრებული პოლიკის ძირითადი ამოცანა ყველაზე ხელსაყრელი საერთაშორისო ურთიერთობების უზრუნველყოფა, სახელმწიფოს მიზნებისა ინტერესბის გათვალისწინებით. ეფექტური საგარეო პოლიტიკის განსახორციელებლად ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი სამოქმედო გეგმის სტატეგიულად დაგეგმვაა. რუსეთის საგარეო პოლიტიკის უმაღლესი პრიორიტეტია დაიცვას ინდივიდუალური, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესები.

რუსეთი, როგორც ყოფილი სსრკ-ის მემკვიდრე სახელმწიფო ახორციელებს მასზე გადაცემულ უფლებებს საერთაშორისო არენაზე. მაგრამ

---

[1] (2012 წლის 5 04). *პოლიტიკური რეალიზმი.* დაბრუნებული გავიგოთ პოლიტიკა.-დან http://intermedia.ge/სტატია/1016-პოლიტიკური-რეალიზმი 5/04/2012

[2] იქვე გვ-9

ახალა რუსეთს არ აქვს პოლიტიკური წონა და შესაძლებლობები, რომელსაც ფლობდა საბჭოთა კავშირი, ამდენად საგარეო პოლიტიკაში მისი მთავრი ამოცანა გახდა ძველი პოლიტიკური სიდიადის აღორძინება.

2000 წლიდან ქყვეყნის სათავეში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ რუსეთი ყალიბდება რეალიზმის პარადიგმაზე დაფუძნებულ, ჭეშმარიტ რეალისტურ სახელმწიფოდ, რომლის კონცეფციაც მოიცავს: სუვერენიტეტის უსაფრთხოების და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შნარჩუნებას. პუტინის საგარეო პოლიტიკის ყველა ასპექტი, წარმოადგენს რეალიზმის კონცეფციას.

1.1 კავკასიაში რუსეთის გამოჩენა და მისი ინტერესები

სამხრეთ კავკასია თავისი ძალიან მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პოზიციისა და სტრატეგიულ ეკონომიკური მდგომარეობის გამო უძველესი დროიდან წარმოადგენდა რეგიონს, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოებისა და იმპერიების ინტერესთა გადაკვეთის წერტილი იყო . სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა დიდწილად განისაზღვრა მისი საზღვაო და საკომუნიკაციო სისტემებით, ევროპა - აზიის და დასავლეთთან დამაკავშირებელი სავაჭრო და სატრანზიტო ფუნქციით ამიტომ ეს პატარა(ტერიტორიული თვალსაზრისით) რეგიონი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში იყო სტრატეგიული ტერიტორია, რომლისთვისაც მეზობელი და შორეული ქვეყნის დამპყრობლები სასტიკი მეთოდებით იბრძოდნენ.

რეგიონთან სხვადასხვა დროს სხვადასხვა ურთიერთობები ჰქონდთ უდიდეს სახელმწიფოებს და უძლიერეს იმპერიებს. საუკუნეთა განმავლობაში სამხრეთ კავკასიის რეგიონთან მიმართებით მუდამ იცვლებოდა საერთაშორისო ურთიერთობის ფორმები, თუმცა, თითქმის უცვლელი დარჩა კავკასიელ ერთა

ეროვნული ინტერესები[3] და რუსეთის იმპერიის ინტერესები და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში. რუსეთის იმპერიის სწრაფვა სამხრეთ კავკასიის მიმართ ძირითადად სამხედრო და სტრატეგიული ამოცანებით შემოიფარგლებოდა.

რუსეთის პოლიტიკური სამყაროს ინტერესების სფეროში კავკასია ჯერ კიდევ კიევის რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე (IX ს-ის II ნახევრიდან) მოხვდა, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება კავკასიის მიმართ 16-17 საუკუნის რუსეთის საგარეო პოლიტიკის გატარებისას იქნა მიმართულიXVI ს. შუა ხანებიდან მას შემდეგ რაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ერთიანი რუსული სახელმწიფო და მისი ხელმწიფე ივანე- IV რომელიც 1547 წელს საზეიმოდ ეკურთხა მეფედ, შემოერთებულ იქნა ყაზანისა და ასტრახანის სახანოები(1552-1556წ.წ) ამის შემდეგ ერთიანი რუსუსლი სახელმწიფო კავკასიიაში გვევლინება აქტიურ პოლიტიკურ მოთამაშედ.

1557 წელს დაიდო პირველი სამხედრო-პოლიტიკური ხელსეკრულება ყაბარდოს მთავარ თემურყვასა(თემურიკ იდაროვი) და მოსკოვს შორის , აღნიშნული ხელშეკრულება შემდგომში დინასტიური ქორწინებით განმტკიცდა. XVII საუკუნეში რუსეთთან კავშირი დაამყარეს აღმოსავლეთ დადასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებმა. თუმცა ამ პერიოდში რუსეთი, რუსეთ-თურქეთის 1677-1681 წლების ომიში იყო ჩართული და მისი პოლიტიკა არ ითვალისწინებდა კავკასიაში აქტიური პოლიტიკის გატარებას. 1677-1681 წ.წ ყირიმის სახანოსა და თურქეთის ჯარებს, კაზაკებისა და რუსების ჯარებმა ორჯერ შეუტიეს და გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს .

1681 წელს ყირიმის სახანოს, რუსეთსა და თურქეთს შორის ზავი დაიდო, ზავის პირობების თანახმად ყირიმის სახანო და თურქეთი იღებდნენ ვალდებულებას, რომ 20 წლის განმავლოაში არ აღმოეჩინათ დახმარება რუსეთის იმპერიის მტრებისათვის. 1682 წელს მას შემდეგ, რაც მეფე თეოდორ მე-3

[3] საქართველოს კავკასიური როლი და რუსეთი 1918-21 წლები და დღევანდელობა. (თ. გ.). *სპეკალი.* http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/4/33

გარდაიცვალა რუსეთში შინაპოლიტიკური კრიზისი დაიწყო, რასაც მოჰყვა 1682-1725 წ.წ პეტრე-I დიდის მიერ აქტური სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დაწყება, ბალტიის ზღვაზე გასასვლელი გზების მოპოვების შემდეგ, პეტრე- I მა გადაწყვიტა კასპიისპირეთში გაემყარებინა პოზიციები და იქ გამავალი სავარჭრო გზები მის კონტროლქვეშ მოექცია . ზღვაზე გასავლელის მოპოვება პეტრე-I-მა სახელმწიფო პოლიტიკის მთავრ მიზნად აქცია. 1722-1723 წლებში კასპიისპირა რეგიონში ლაშქრობის დროს პეტრე I მა, ქართლის მეფე ვახტანგ VI თან სამხედრო პოლიტიკური კავშირი შეკრა და რუსეთის მოკავშირედ ვახტანგ VI ის ხელმძღვანელობით სომეხთა ლაშქარიც გამოვიდა, თუმცა ამ პერიოდში რუსეთი კავკასიაში ფეხის მოსაკიდებლად[4] მომზადებული არ აღმოჩნდა, და მხოლოდ XVIII ს. 20-იანი წლების დამდეგს პეტრე I მა გადაწყვიტა ქართლის მეფე ვახტანგ VI თან კავშირით გადამწყვეტი დარტყმის მიყენება სპარსეთისათვის , თუმცა რეალურად სპარსეთში ლაშქრობის მთავრი მიზანი კასპიისპირეთის დასავლეთ ნაწილის რუსეთის კონტროლის ქვეშ მოქცევა, რაც გამოიწვევდა კავკასიაზე უპირობო გავლენის მოპოვებას, თუმცა რუსეთის იმპერიის გეგმები ამჯერად ვერ განხორციელდა და კავკასიაში შენარჩუნებულ იქნა სტატუს-კვო.

კავკასიის მიმართულებით გადამწყვეტ შეტევაზე რუსეთის ხელისუფლება 1768-1774 წ.წ რუსეთ-თურქეთის ომის დროს გადავიდა, როდესაც მან საქართველოში გაგზავნა სამხედრო კონტიგენტი 1200 კაციანი შემადგენლობით ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II სა და იმერეთის მეფე სოლომონ I -ის მხარდაჭერით დაუპირისპირდა ოსმალეთის იმპერიას სამხრეთ კავკასიაში. ამ დროს სოლომონ პირველმა სიტუაციით ისარგებლა და ოსმალთა გარნიზონები განდევნა იმერეთის ციხეებიდან. ომი დასრულდა რუსეთის გამარჯვებით, რასაც მოჰყვა ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების დადება (1774წ.) რუსეთმა ამ ხელშეკრულებით მიიღო შავ ზღვაზე ნაოსნობის და

[4] *რუსეთის კავკასიაში გამოჩენა და კავკასიის დაპყრობა.* (თ. გ.) pankisi.ge.-დან https://pankisi.ge

ბოსფორ-დარდანელის სრუტეებით სარგებლობის უფლება, ასევე ზავის პირობების თანახმად ყაბარდო და ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში შევიდა.

ყირიმის შემოერთების (1783) შემდეგ რუსეთმა აქტიური მოქმედება დაიწყო ამიერკავკასიაშიც. რასაც დიდად შეუწყო ხელი რეგიონში არსებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, ოსმალეთის იმპერიისა და ირანისა მხრიდან წამოსული საფრთხე საქართველოს სახელმწიფოებრივ არსებობას დიდ საფრთხეს უქმნიდა, ამიტომაც ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ს ერთადერთ გამოსავლად რუსეთთან მტკიცე კავშირის დამყარება მიაჩნდა. 1782 წლის ერეკლე II მ ეკატერინე II ს მიმართა თხოვნით საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ აეყვანა[5]. ეს ფაქტი რუსეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკისათვის მეტად სასურველი იყო და ამიერკავკასიაში პოზიციების გამყარების მიზნით ეკატერინე II მ თავად პავლე პოტიომნიკს გაფართოებული უფლებამოსილება მიანიჭა ერეკლე მეფესთან სამოკავშირეო[6] შეთანხმების მისაღწევად.

1783 წლის 24 ივლისს გაფორმდა ტრაქტატი ქართლ-კახეთის, რუსეთის პროტექტურაში შესვლის შესახებ ე.წ გეორგიევსკის ტრაქტატი. ამრიგად, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა როგორც მასზე დამოკიდებული და მისი მფარველობის ქვეშ მყოფი ქვეყანა. არსებითად კი აღნიშნული ტრაქტატი იყო ორი არათანაბარი სიძლიერის სახელმწიფოს ნებაყოფლობითი შეთანხმება, რომელიც ორივე მხარის საგარეო-პოლიტიკურ ამოცანებს ემსახურებოდა. გეორგიევსკის ტრაქტატი დაიდო იმ დროს არსებული საერთაშორისო ნორმების დაცვით, ტრაქტატის მთავარი პირობა იყო რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვა ისლამური სამყაროს აგრესიისაგან, თუმცა რუსეთს მის მიერ ტრაქტატით

[5] აბაშიძე, ნ. (2018 წლის 2 08). *გეორგიევსკის ტრაქტატი _ 245 წელი.* დაბრუნებული http://geworld.ge.-დან

[6] იქვე.

დადებული არც ერთი პირობა არ შეუსრულებია და ტრაქტატი თავიდანვე მხოლოდ რუსეთის იმპერიალისტური მიზნებისა და ინტერესების და საკმაყოფილებლად იყო დადებული.

რუსეთის ფედერაციას ისტორიულადაც და თანამედროვე ეტაპზეც სამხრეთ კავკასიის მიმართ ყოველთვის საკუთარი მიზნები და ამოცანები ჰქონდა რის მიღწევასაც ყოველთვის სხვადასხვა მეთოდებით ცდილობდა და ახერხებდა , რუსეთი ყოველთვის აცხადებდა პრეტენზიას სამხრეთ კავკასიის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევაზე, ამ მიზნის განხორციელებაში კი მას ძალზედ შეუწყო ხელი სამხრეთ კავკასიაში არსებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, მაშინ როდესაც ბრძოლა მიდიოდა კავკასიის დასაპყრობად ირანსა და თურქეთს შორის, კავკასიის ქრისტიანი ერები, ქართველები და სომხები პრორუსულ ორიენტაციაზე იყვნენ, ხოლო მუსლიმი ერები, ნაწილი პროქართულ, ნაწილი კი პროირანული ორიენტაციაზე იყო. რაც ხელს უწყობდა რუსეთის ინტერესებს რომელსაც სურდა აღმოსავლეთში პოზიციების გამყარება და ამისათვის მას სჭირდებოდა კავკასიის დაპყრობა. ამ მიზნის განხორციელებაში საქმეს ძალზედ უადვილებდა ქართველი მეფე მთავრების პრორუსული ორიენტაცია. ასევე რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის სრული ანექსია რამოდენიმე მიზეზმა განაპირობა:

პირველ რიგში, კავკასიაში არ იყო ერთიანი ძალა, რომელსაც შეეძლო გარე აგრესიის შეკავება. ასევე კავკასიაში არსებობდა რამდენიმე სახელმწიფო, მრავალი ინდივიდუალური ტომი და ეთნიკური ჯგუფი, სადაც მუდამ იყო შიდა დაპირისპირებები, აჯანყებები, რევოლუციები, გავლენის მოსაპოვებლად ადგილობრივი ელიტების გამუდმებული ბრძოლა რაც გახდა რეგიონის ფრაგმენტაციის და მოსახლეობის უკიდურესი სიღარიბისა მიზეზი . შედეგად კავკასიის ასეთი ფრაგმენტაცია ხელს უწყობდა რუსეთის პოლიტიკის გატარებას და ამარტივებდა მის დაპყრობას.

მეორე მთავარ მიზეზად ასევე შეგვიძლია დავასახელოთ რელიგიური კუთვნილებები მართალია რეგიონში კერპთაყვანისმცემლობაზე ქრისტიანობამ

გაიმარჯვა, თუმცა არაბული წარმოშობის დამპყრობლებმა რეგიონში ისლამი შეიტანეს და მყარი პოზიციები დაიკავეს, შეტევები ორმაგი ძალისხმევით განახორციელეს, შედეგად, კავკასიაში ქრისტიანობასა და ისლამს შორის კონფლიქტი გამწვავდა და კავკასიურ ომებს განსაკუთრებული ტრაგიკული სახე მიეცა.

მესამე, კავკასია გახდა იმ პერიოდის ორი დიდი ძალაუფლების მქონე ქვეყნის სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიის დაპირისპირების ცენტრი. ორივე სახელმწიფოს უნდოდა კავკასიის ხელში ჩაგდება, რათა მათ კონკურენტზე სამხედრო სტრატეგიული უპირატესობა მოეპოვებინათ. მოგვიანებით კონფლიქტში მესამე დიდი ძალა რუსეთი შევიდა. რუსეთის იმპერისს ურთიერთობა სამხრეთ კავკასიასთან მიმართებით ყოველთვის განსაკუთრებულ სახეს ატარებდა, რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის ექსპანსიის შემდეგ ეს ურთიერთობა კიდევ უფრო მეტად დაიტვირთა ემოციური, კულტურული თუ ისტორიული თვალსაზრისით.

რუსეთის ისტორიოგრაფიაში სამხრეთ კავკასიაში გატრებული იმპერიალისტური პოლიტიკა წარმოდგენილია, როგორც ერთმორწმუნე მეზობლების დამცველი ძალა, რომელსაც არასდროს გაუთელია სხვა ერის კულტურული წეს-ჩვეულებები, რასაც ქართველები სხვაგვარად ხედავენ და რუსიფიცირების ისტორიას, პირველ რიგში ქართული ეკლესიის ისტორიას უკავშირებენ. რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე საუკუნეებით უფრო ძველ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შეუცვალეს ლიტურგიული ენა და რუსულ რელიგიურ ბიუროკრატიას დაუქვემდებარეს[7]. მოხდა მისი რუსიფიცირება.

მეორე თემაა ღალატი და ტრაქტატის პირობების დარღვევა: 1783 წელს დადებული ე.წ გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებით რუსეთის იმპერია იღებდა

[7] ჰალბახი, უ. (2018 წლის 5 02). რუსეთი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში "ახლო საზღვარგარეთსა" და "შიდა საზღვარგარეთს შორის". https://ge.boell.org/ka/2018/02/05/ruseti-chrdiloet-da-samxret-kavkasiashi-axlo-sazgvargaretsa-da-shida-sazgvargarets-shoris

ვალდებულებას , დაეცვა ქვეყანა მუსლიმი ძალების შევიწროებისაგან, თუმცა რუსეთმა მის მიერ აღებული ვალდებულება არ შეასრულა, დაუცველ მდგომარეობაში მყოფ საქართველოში 1795 წელს შემოიჭრა სპარსეთის ლაშქარი და ააოხრა თბილისი. ამასთანავე, მეფე პავლე პირველმა, მიუხედავად გეორგიევსკის ტრაქტატით დადებული ავტონომიის უფლებების[8] პირობის, 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია მოახდინა.

მეორე მხრივ, საქართველოსათვის რუსეთის იმპერიასთან შეერთება მხოლოდ უარყოფითი შედეგების მომტანი არ ყოფილა, რადაან აქ მოხდა ფრანგმენტირებული ქვეყნის ნაწილთა ერთი ადმინისტრაციულ-მმართველობითი ხელისუფლების ქვეშ თავმოყრა, რასაც მოჰყვა ქვეყნის ერთიანი მოდერნიზებული, თანამედროვე, ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბება.

საქართველოს მსგავსი ისტორია აქვს სომხეთსაც, როდესაც სომხების მიმართ ოსმალეთის იმპერიაში ძალადობა დაიწყო, სომხეთისთვის რუსეთი მფარველ ძალად იქცა. თანამედროვე აზერბაიჯანი, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ის მუსლიმური ნაწილია, რომელმაც მოდერნიზება, ყველაზე ადრე განიცადა.

სამხრეთ კავკასიაში მიღწეული წარმატებებული პოლიტიკის მიუხედავად ომისა და 1917 წლის რევოლუციის ორომტრიალში, კავკასიაზე რუსული კონტროლი შესუსტდა [9]. წარმოიქნმს სხვადასხვა ნაციონალისტურ, დემოკრატიულ, სოციალისტური ძალები: საქართველოში მენშევიკები, , სომხეთში დაშნაკები და აზერბაიჯანსი ცამოყალიბდა პარტია მუსავატი, ახლად ცამოყალიბებულმა პარტიებმა მთელი ძალაუფლება იგდეს ხელთ და 1918 წელს შეიქმნეს ნაციონალური სახელმწიფოები (აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის), თუმცა ახლად რეფორმირებულმა სახელმწიფოებმა დიდხანს ვერ იარსებეს, და ისევ ბოლშევიკური კონტროლის ქვეს მოექცა(1921 წ. ბოლოს)

[8]იქვე

[9] იქვე

რადგან მათი შექმნა ძირითადად განპირობებული იყო არა რუსეთის იმპერიისაგან თავის დაღწევის მცდელობა არამედ ომისა და რევოლუციის დროს არსებული ქაოსით.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კვლავ გასაბჭოებას მოჰყვა სასტიკი ბრძოლები. მაგალითად, ბაქოს აღების შემდეგ 1920 წელს, დახვრიტეს 2700 ადამიანი. საბჭოთა ხელისუფლებამ ამ პერიოში კავკასიის მოდერნიზებისათვის დაშინების მეთოდები გამოიყენა, რამაც მალევე გამოიღო შედეგი და მოხდა რეგიონის ქვეყნების რუსიფიცირება. რეგიონში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაინიშნენ ბოლშევიკები, რომლებიც იყვნენ ამ რეგიონში დაბადებულ, გაზრდილები. შეიქმნა ერთ ერად ჩამოყალიბების წინაპირობები, შედეგად კავკასია გვევლინება, როგორც საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის ლაბორატორია.

საბჭოთა კავშირის იერარქიაში ტერიტორიები მათი ერებისა და ეთნიკური ჯგუფების მიხედვით დალაგდა: სადაც წარმოდგენილია საქართველო თავისი სამი დაქვემდებარებული ერთეულით: აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. სამხრეთ კავკასიაში დანაწევრებას მხოლოდ სომხები გადურჩნენ, რადგან ეთნიკური თვალსაზრისი ისინი ჰომოგენური ერის წარმომადგენლები იყვნენ .

1922 წლიდან 1936 წლამდე კავკასიაში არსებობდა იერარქიის კიდევ ერთი სუბიექტი : ამიერკავკასიური ფედერაცია (ამიერკავკასიის სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირი), რომელიც საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს აერთიანებდა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაარსებამდე[10], 1921 წელამდე.

[10] იქვე - გვ 14

1.2 კავკასიის ანექსიის ძირითადი ეტაპები

კავკასიის დაპყრობა რუსეთის მიერ მის ბუნებრივ საზღვრებთან დაიწყო, მდინარე თერგისა და ყურბანის გასწვრივ ციხესიმაგრეების აგებით და აღნიშნულ ტერიტორიაზე მე-18 საუკუნეში კაზაკების ჩამოსახლებით. სამხრეთ კავკასია, ჩრდილოეთ კავკასიასთან შედარებით უფრო სწრაფად დაემორჩილა მეფის რუსეთს. საქართველო კი კავკასიაში იმპერიის მმართველობის ცენტრად იქცა, საიდანაც მეფის რუსეთი მაღალმთიანი რეგიონების დაპყრობას წარმართავდა, რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა სამ ძირითად ეტაპად შეგვიძლია დავყოთ რომელიც მოიცავს პერიოდს 1801 წლიდან 1864 წლამდე.

პირველი ეტაპი მოიცავს 1801-1813 წლებს ამ პერიოდში რუსეთმა დაიპყრო საქართველო, აზერბაიჯანი და შავი ზღვის სანაპიროს ნაწილი.

მეორე ეტაპი მოიცავს პერიოდს 1813-1829 წლებს როდესაც რუსეთის მიერ დაპყრობილ იქნა შავი ზღვის უდუდესი ნაწილი, საქართველოს სამხრეთის ტერიტორიები და სომხეთის აღმოსავლეთის ტერიტორიები.

მესამე ეტაპი 1830-1864 წლები როდესაც კავკასია მთლიანად დაპყრობილ იქნა რუსეთის მიერ.

მე -18 საუკუნის ბოლოდან მე -19 საუკუნის პირველი ათწლეულის მანძილზე რუსეთმა დაიპყრო სამხრეთ კავკასიის ნაწილები. ეს დაპყრობა ხორციელდება კავკასიის სახელმწიფო ფორმებისა და რუსეთ სპარსეთის (1804-1813) და რუსეთ-თურქეთის (1806-1812) ომების სახით. 1801 წელს რუსეთმა საქართველოს მთავარი შემადგენელი ნაწილის, ქართლ-კახეთის სამეფოსა და დედაქალაქ თბილისის ანექსია მოახდინა. 1803 წელს, მეგრული, იმერეთისა და გურიის მმართველები რუსეთში ლოიალობის ფიცს იღებდნენ. 1803 წელს ამას მოჰყვა სამეგრელო, 1804 წელს - გურია და იმერეთი, შემდეგ კი ნაწილები, რომლებიც დღეს აზერბაიჯანს ეკუთვნის. ახალი მიწების დაპყრობის პარალელურად, მიმდინარეობდა ბრძოლა, რომელიც მიზნად ისახავდა ხალში

ანტირუსული ქმედებების აღკვეთას. აფხაზეთი იმპერიის შემადგენლობაში 1810 წელს მოექცა, თუმცა იმპერიაში მისი სრულყოფილი ინტეგრირება მხოლოდ 1864 წელს მოხერხდა.

რუსეთის მიერ კავკასიის ანექსიის პოლიტიკა გაჯერებული იყო თავადაზნაურებისა თუ გლეხების აჯანყებებით. რუსეთი წააწყდა სხვადასხვა ორგანიზაციების ფორმირებებს საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ორგანიზების სახით: ჩამოყალიბდა ფეოდალური იერარქიები საქართველოს სამეფოებში, აზერბაიჯანის მუსლიმურ სახანოებსა და დაღესტნის დაბლობში. ჩეჩნეთსა და მაღალი მთის ტომობრივ ორგანიზაციებში[11] , ჭარბობდა „დემოკრატიული“ ორგანიზაციის ფორმები, რაც თავის მხრივ დიდ წინააღმდეგობას უწევდა რუსეთის კოლონიურ დამკვიდრებას რეგიონში და აძნელებდა ანექსიის საბოლოდ ადმინისტრაციულ გაფორმებას. ირანთან ომის წარმატებით დასრულების შემდეგ რუსეთმა თავის იმპერიას შეუერთა ტერიტორიები, რომელიც დღეს თანამედროვე აზერბაიჯანისა და სომხეთის შემადგენლობაშია. მე - 19 საუკუნის მეორე ნახევარში ამ ტერიტორიაზე მოხდა სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული გარდაქმნები . კასპიის ზღვის სანაპირზე მდებარე ბაქო გადიქცა მულტიკულტურულ, ინდუსტრიულ ნავთობის კუნძულად და მოექცა საერთაშორისო ფირმების ყურადღების ცენტრში. მე-19 საუკუნის ბოლოს მის ტერიტორიაზე არსებული მოსახლეობის რაოდენობა რამდენიმე ათასიდან 200.000 კაცამდე გაიზარდა.

დიდი ეთნო-დემოგრაფიული ცვლილებები ახლდა თან თანამედროვე სომხეთის შემადგენლობაში არსებული ტერიტორიების მიერთებას ცარისტულ იმპერიასთან. ამ დროს ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ მუსლიმი მთის ხალხებით (გორცი) დასახლებული ტერიტორიები ჩამოყალიბდა წინააღმდეგობის ზონად, სანამ საბოლოოდ არ გადიქცეოდა „ამიერკავკასიურ

[11] ჰალბახი, უ. (2018 წლის 5 02). რუსეთი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში "ახლო საზღვარგარეთსა" და "შიდა საზღვარგარეთს შორის". https://ge.boell.org/ka/2018/02/05/ruseti-chrdiloet-da-samxret-kavkasiashi-axlo-sazgvargaretsa-da-shida-sazgvargarets-shoris

პროვინციებად“[12]. რუსეთმა მათგან შექმნა ე.წ. „ზღვის გადაღმა კოლონიები,“ რომლებსაც უკავსირდებოდა საქართველოს სამხედრო ვიწრო გზით წარმოდგენილი ხიდით.

საქართველოში დაბანაკებულმა რუსულმა სამხედრო ძალამ, გენერალი ალექსეი ერმოლოვის მეთაურობით, 1818 წლიდან შეტევები გააძლიერა ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი, რუსული კონტროლის ქვეშ მხოლოდ ირიბად მყოფი მთის ხალხების [13](გორცების) წინააღმდეგ. ეს პერიოდი ხასიათდება ძლიერი ანტირუსული მოძრაობით (მარიდიზმი) ჩეჩნეთსა და დაღესტანში ჩამოყალიბდა ერთი სამხედრო თეოკრატიული სახელმწიფო - იმამატი, რომელსაც მარიდები მართავდნენ. იმამათი იყო ზღუდე, რომელიც 25 წლის განმავლობაში ეფექტურად იცავდა თავს რუსეთის კოლონიალური პოლიტიკისაგან. გამოიკვეთა ორი ძირითადი რეგიონი, სადაც მიმდინარეობდა ბრძოლა დაუმორჩილებლობისა და დამოუკიდებლობისთვის: დასავლეთით (ჩერქეზი და აფხაზეთი) და ჩრდილო-აღმოსავლეთი (ჩეჩნეთი და დაღესტანი). ეს ტერიტორიები იყო 1817-1864 წლების საომარი მოქმედებების მთავარი არენა .

1830 წლიდან 1859 წლამდე, რუსეთის მთავარი საზრუნავი ჩრდილოეთ კავკასიაში კონცენტრირებული მარიდიზმის და იმამატის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ეს ბრძოლები შეიძლება ჩაითვალოს რუსული ჯარის სამხედრო ხელოვნების მაღალ დონეზე წარმოდგენის პერიოდად, რადგან მათ მოუხდათ მთიან მხარეში მათთვის უცხო რელიეფურ და გარემო პირობებში ბრძოლა, ბრძოლები ხანგრძლივ ომში გადაიზარდა 1834 წლიდან 1859 წლამდე გაგრძელდა. ამ პერიოდის განმავლობაში ადგილობრივი ლიდერი შამილი თავს იმამს უწოდებს ამ პერიოდში მისი ჯარი აკონტროლებს ჩეჩნეთსა და დაღესტანს. მრავალწლიანი დაუნდობელი ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი დგება მას შემდეგ, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში რუსეთის ჯარი ახერხებს მუსლიმი მებრძოლების წინააღმდეგობის დაძლევას. წინააღმდეგობამ 1859 წლამდე გრძელდებოდა , 1859 წელს ჩეჩნეთის და

[12] იქვე- გვ 17
[13] იქვე -გვ 17

დაღესტნის, უძლიერესმა იმამმა შამილმა შეწყვიტა წინააღმდეგობა და ჩაბარდა რუსეთის მეთაურს და იმპერატორ ალექსანდრე II- ის საპატიო პატიმარი გახდა.

1859 წლიდან 1864 წლამდე იმამი შამილის დამარცხების შემდეგ, ომის საბოლოო პერიოდი დადგა, როდესაც რუსეთის ჯარმა მდინარე მზიმთის სათავეში მთიელთა ბრძოლის უკანასკნელი კერა - კბაადა დაიკავა. დარჩა მხოლოდ პატარა ადგილობრივი წინააღმდეგობები, რომლებიც სწრაფად აღმოიფხვრა, და საბოლოოდ რუსეთმა რთულ და პრობლემურ ომში გამარჯვება მოიპოვა. ისტორიაში ეს ბრძოლა „მურიდების ომის“ სახელით არის ცნობილი.

ომის წარმატებული დასრულების მიუხედავად, რუსეთმა შეიძინა რთული და მღელვარე რეგიონი, და 1864 წლიდან 1917 წლამდე რუსეთის იმპერიის მთავრობა, ყველა საშუალებით ცდილობდა სიტუაციის ნორმალიზებას კავკასიაში, ეს რეგიონი უზარმაზარი სახელმწიფოდ იქცა, სადაც ზეწოლის ყველა ბერკეტი მოქმედებდა: პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, სამხედრო, პოლიცია, სამართლებრივი, სუბიექტური და სხვა. რაც საკმაოდ წარმატებით ხორციელდებოდა თუმცა ამავდროულად, გამოვლინდა ფარული წინააღმდეგობები რუსეთის ხელისუფლებასა და ჩრდილოეთ კავკასიის მთის ხალხებს შორის, რომლეიც დროდადრო ღია სამხედრო წინააღმდეგობაში გადადიოდა. წინააღმდეგობების გადალახვა რუსეთის ხელისუფლების მიერ, როგორც დიპლომატიური ასევე ეკონომიკური საშუალებებით ხდებოდა , თუმცა ეს გზები ხშირად არაეფექტური იყო. უფრო ეფექტურად, კავკასიის დაპყრობისა და მშვიდობის დამყარებას რუსეთი სამხედრო ძალის დახმარებით ახერხებდა, ამ გზით მიღწეული წარმატება ხშირად მხოლოდ დროებითი იყო, თუმცა ფაქტია, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან კავკასია ოკუპირებული და სრულიად რუსული გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, თუმცა მეფის რუსეთის დაშლის შემდეგ, 1917 წელს, კავკასიელმა ერებმა თავი დაიხსნეს რუსული ანექსიისაგან და მოიპოვეს დამოუკიდებლობა.

1918 წელს კავკასიაში ჩამოყალიბდა ოთხი სახელმწიფო: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა. ამ

სახელმწიფოების ინტერესები და პოლიტიკა ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო , თუმცა მათ საეთო იმტერესის სფერო იყო ჩრდილოელი მტერი, რომელიც არასოდეს შეეგუებოდა კავკასიის დამოუკიდებლობის იდეას[14] და მუდამ შეუქმნიდა მათ პრობლემებს.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საბჭოთა რუსეთმა დაიწყო საქართულოს რეგიონის, აფხაზეთის, ოკუპაცია, რისთვისაც საბჭოელებმა იქ (1918 წ. ზაფხულში) გაგზავნეს "წითელ კაზაკთა" შენაერთები, წააქეზეს ადგილობრივი სეპარატისტები, რათა მათ გამოეცხადებინათ ე.წ. "აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკის" დამოუკიდებლობა[15]. საპასუხოდ საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო შესაბამისი ზომები და ბრძოლის ველზე გაგზავნა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. ამ დაპირისპირების დროს რუსეთში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა და საბჭოელებს არ შეეძლოთ აფხაზეთში სეპარატისტების დსახმარებლად დიდი რაოდენობით გამოეყოთ ჯარისკაცები, ეს შესაძლებლობა გამოიყენეს ქართველებმა და აფხაზეთი გაანთავისუფლეს მათგან.

ჩრდილო კავკასიაში ბოლშევიკთა რეჟიმი მოგვიანებით "თეთრი გენერლების" რეჟიმით შეიცვალა, მაგრამ რეჟიმის ცვლილების მიუხედავად კავკასიის რეგიონთან დაკავშირებული პოლიტიკა უცვლელი დარჩა. "თეთრებმა" ისევ სცადეს აფხაზეთის ოკუპაცია, მაგრამ, ისევ ვერ მოახესრხეს, რადგან იმ დროისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ბრიტანული ჯარები იყვნენ განლაგებულნი და მათ მოახდინეს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების უზრუნველყოფა.

საქართველოში შემოჭრამდე რუსეთს ჩრდილოეთ კავკასიის პრობლემა უნდა გადაეწყვიტა , რადგან მისი მდებარეობისა და რუსეთთან სიახლოვის გამო სამხრეთ კავკასიისათვის, ბუფერული ზონის დანიშნულებას ასრულებდა.

---

[14] პორტალი, ქ. ს. (თ. გ.). *საქართველოს "კავკასიური როლი" და რუსეთი.* დაბრუნებული militarium.org.-დან 28/05/18

[15] იქვე.

1919 წლის ზაფხულში ჩრდილოეთ კავკასია დაიპყრო “თეთრმა გენერალმა”, ანტონ დენიკინმა, რუსეთი მოადგა საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრებს. საქართველომ და აზერბაიჯანმა თავდაცვის მიზნით, 1919 წლის 16 ივნისს ხელი მოეწერეს სამხედრო-თავდაცვით ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც, მათ უნდა გაეცათ ერთობლივი პასუხი მესამე სახელმწიფოს მხრიდან მომდინარე სამხედრო აგრესიისათვის. ასევე მხარეები შეთანხმდნენ ტერიტორიული დავები, რომლებიც არსებობდა მათ შორის მოეგვარებინათ არბიტრაჟის წესით. ხელშეკრულების გაფორმების შესახებ ასევე შეტყობინება გაეგზავნა კონფერენციის თავმჯდომარეს საფრანგეთის პრეზიდენტ ჟორჟ კლემანსოს. წერილში ქართველების და აზერბაიჯანელების მიერ აღნიშნული იყო, რომ ხელშეკრულება მოქმედებაში იმ შემთხვევაში მოვიდოდა , თუ დენიკინი სამხრეთ კავკასიას არ დაესხმოდა თავს.

კავკასიის დამოუკიდებლობის იდეა “თეთრებისა” და “წითლებისათვის” ერთნაირად მიუღებელი იყო და კავკასიელ ერს მუდან უწევდა მათ წინააღმდეგ ბრძოლა, არამარტო ბრძოლის ველზე, არამედ დიპლომატიურ ასპარეზზეც . “თეთრების” და “წითლების” მთავარ ამოცანას მეფის რუსეთის დროინდელი საზღვრების აღდგენა იყო და კავკასია ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი იყო. ამიტომაც რუსეთის სამოქმედო გეგმა შემდეგი სახის იყო: ერთი მხრივ, მას უნდა მოეხდინა რეგიონის ოკუპაცია და, მეორე მხრივ, ხელი შეეშალა კავკასიური დელეგატებიათვის, რომლებიც იმყოფებოდნენ პარიზში და ცდილობდნენ საერთაშორისო აღიარების მოპოვებას.

სამხრეთ კავკასიური საერთო იდეისათვის, დიდ გამოწვევად რჩებოდა სომხეთი, რომელიც საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად, დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებდა და მოწყვეტილი იყო საერთო კავკასიურ პოლიტიკურ ინტერესს. სომხეთს ჰქონდა ტერიტორიული

პრეტენზიები ყველა თავისი მეზობლისადმი [16](საქართველოს, აზერბაიჯანის და, განსაკუთრებით, თურქეთის მიმართ).

კავკასიის პატარა დამოუკიდებლობისათვსი მებრძოლი სახელმწიფოები მათი დიდი მიზნების მიღწევას და რუსულ სამხედრო აგრესიასთან გამკლავებას , საგარეო დახმარების გარეშე ვერ შეძლებდნენ. რის გამოც ეს ქვეყნები მიისწრაფოდნენ დასავლეთისაკენ . პარიზის საზავო კონფერენციაზე ისინი ცდილობდნენ ანტანტის დიდი სახელმწიფოებისაგან სამხედრო და დიპლომატიური მხარდაჭერა მოეპოვებინათ, რისი მთავარი პირობაც იყო "ერთა ლიგის" წევრობა. ერთა ლიგა მისი წესდების თანახმად, იძლეოდა გარანტიას, რომ დაიცავდა წევრი სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას და უსაფრთხოებას.

საქართველომ და აზერბაიჯანთანმა 1920 წლის ნოემბრისათვის შეიტანეს ერთა ლიგის წევრობაზე განაცხადი. ეს იყო მათი გადარჩენის უკანასკნელი შანსი, რუსეთის იმპერიამ რეგიონის მიმართ არსებული ამბიიციებიდან გამომდინარე არ დაუშვა მათ მოეპოვებინათ საერთაშორისო მხარდაჭერა და 1920 წლის აპრილში რუსეთმა მოახდინა აზერბაიჯანის ოკუპაცია, 1920 წლის ნოემბრში რუსეთის მიერ სომხეთიც იქნა ოკუპირებული. მთელი კავკასია, საქართველოს გარდა, რუსეთის კონტროლქვეშ მოექცა , საქართველო კი რუსეთის ჯარებით გარშემორტყმული აღმოჩნდა . დასავლეთის ქვეყნები ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ: და თავი შეიკავეს პატარა სახელმწიოების გამო დიდი აურზაურის შექმნისაგან, შედეგად სამხრეთ კავკასის ქვეყნებმა ვერ მოიპოვეს ანტანტის სახელმწიფოებისაგან სამხედრო და დიპლომატიური მფარველობა , და კვლავ დაუცველნი არმოჩდნენ რუსული აგრესიის წინაშე,

[16] პორტალი, ქ. ს. (თ. გ.). *საქართველოს "კავკასიური როლი" და რუსეთი.* დაბრუნებული militarium.org.-დან 28/05/18

რუსეთმა 1921 წლის თებერვლიდან კვლავ განახორციელა “წითელი ოკუპაცია” საქართველოსა და მთელ კავკასიაში.

თანამედროვე ეტაპზე კავკასიელ ერთათვის არსებული ამოწვევები თითქმის ისტორიული პროცესების იდენტურია. არ შეცვლილა ჩრდილოელი მეზობლის ამბიციები რეგიონთან მიმართებით და რეგინის სახელმწიფოებს შორის კვლავ არსებობს გარკვეული უთანხმოებები და გაუგებრობები, ამ ფაქტების საფუძველზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისტორია მეორდება.

1.3 საქართველოს როლი კავკასიის ათვისებაში

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობას აქვს მრავლასუკუნოვანი და რთული ისტორია, რომელიც მოიცავს ომებს, ანექსიას, მფარველობას, ღალატს, მოჩვენებით მეგობრობას. საქართველო რუსეთისათვის იყო სტრატეგიული იარაღი რომელსაც ყოველთვის იყენებდა საჭიროებისამებრ.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში არ არსებობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე აქტუალური პრობლემა დღეს საქართველო გვევლინება როგორც რუსული აგრესიის მსხვერპლი და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ინტერესების აქტიური დამცველი ამიტომაც დიდი ყურადღება ექცევა ჩერქეზულ საკითხს, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა ჩერქეზთა გენოციდი კავკასიის ომის დროს, ამავდროულად საქართველო ყოველთვის მხარს უჭერდა მთის ხალხთა განმანთავისუფლებელ მოძრაობას, თუმცა რეალურად ისტორიული წყაროები სხვაგვარ რეალობას გვაცნობენ.

მე-19 საუკუნის დასაწყიში აღმოსავლეთ საქართველო შედიოდა რუსეთის იმპერიაში, გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო და დასრულდა ბაგრატიონთა დინასტიის მმართველობის ხანა. რაშიც განსაკუთრებით დიდი

წვლილი მიუძღვის წარმოშვებით ქართველ გენერალს პავლე ციციანოვს, რომელიც ნათესავად ეკუთვნოდა გიორგი მე-12-ის მეუღლეს მარიამ დედოფალს. რუსეთის მთავრობა ქართლ-კახეთის საშინაო განხეთქილებების მიზეზად ბაგრატიონთა სამეფოს წევრთა მოქმედებებს მიიჩნევდნენ, ალექსანდრე I ის დავალებით ციციანოვმა, რომელიც სრულიად იზიარებდა ამ მოსაზრებას დაიწყო ბაგრატიონთა დარწმუნება გადასახლებულიყვნენ რუსეთში. ბაგრატიონებმა არ მოინდომეს სამშობლოს დატოვება, რადგან ციციანოვმა ვერ მოახერხა ბატონიშვილების ნებით დაყოლიება, შემდეგ ძალის მიერი მეთოდებით და 1803-1805 წლებში საქართველოს სამეფოს სახლის წარმომადგენლები, თითქმის სრული შემადგენლობით გადაასახლა რუსეთში.

პავლე ციციანოვს ასევე მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის სამეგრელოსა და იმერეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების ორგანიზებაში[17], ციციანოვის ხელმძღვანელობით 1803 წელს გრიგოლ დადიანთან მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულ იქნა ოდიშის სამთავროს რუსეთთან შეერთება. სოლომონ II სთან დადებული ელაზნაურის შეთანხმებით 1804 წელს იმერეთის სამეფოც შევიდა რუსეთის მფარველობის ქვეშ. 1804-1805 წლებში ირან-ოსმალეთის ომის დროს ციციანოვის ხელმძღვანელობით რუსეთის ჯარმა მოიგერია ირანელთა შემოტევა და 1805 წელს რუსეთის იმპერიას შემოუერთა ყაბარდოს, შაქისა და შირვანის სახანოები.

აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიამ გამოიწვია რუსეთისა და მთელი კავკასიური პოლიტიკის ინტენსიფიკაცია, ამიერკავკასიის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ტერიტორიები გადმოვიდა ბაქოდან აფხაზეთის ჩათვლით. საქართველოში ამ პერიოდში ბევრმა უარყოფითად აღიქვა სახელმწიფოებრიობის დაკარგვა (განსაკუთრებით სამეფო დინასტიის წარმომადგენლებმა), მაგრამ იმავდროულად, ეს იყო პერიოდი, როდესაც

---

[17] ზურაბ, ქ. (2011). 100 რჩეული ბიოგრაფია : მონოგრაფია. *პავლე ციციანოვი (1754-1806)* (გვ. 174-175.).-ში თბილისი.

პორტალი, ქ. ს. (თ. გ.). *საქართველოს "კავკასიური როლი" და რუსეთი.* დაბრუნებული militarium.org.-დან

ქართველი დიდგვაროვნები სწრაფად და მარტივად ხვდებოდნენ იმპერიის ზედა კლასში. ქვეყანაში გაღვივდა რწმენა, რომ რუსეთის ინტერესებში შედიოდა საქართველოს დაცვა, შესაბამისად საქართველოში რუსეთი აღიქმებოდა ყველაზე საიმედო მფარველად. რუსეთის სამთავრობო წრეებშიც საქართველო დიდხანს იქნა მიჩნეული ყველაზე ახლო და ყველაზე სანდო მოკავშირედ კავკასიაში. რუსეთში ამ დროს წარმოდგენილი იყო საკმაოდ გავლენიანი ქართული დიასპორა, და მისი წარმომადგენლები მე -19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის პოლიტიკას კავკასიის მიმართ მრავალი მიმართულებით განსაზღვრავდნენ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პერიოდში რუსეთი კავკასიას ქართული თვალებით უყურებდა. რის მაგალითადაც შეგვიძლია გავიხსენოთ კავკასიის სამხედრო კორპუსის მთავარი მეთაური დიმიტრი ზახაროვიჩ ორბელიანი და პოლკოვნიკი პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი, რომელიც რუსეთის ჯარებს ხელმძღვანელობდა დასავლეთ საქართველოში და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აფხაზეთის შემდგომ ბედზე.

1803 წელის 4 დეკემბერს სამეგროლოს-სამთავრომ ხელი მოაწერა რუსეთთან ქვეშევრდომობას. შემდეგ ციციშვილმა განაგრძო გზა განჯის დასაპყრობად, რაც მალევე მოახერხა და 1804 წელის 3 იანვარს დაიპყრო განჯა და ქალაქს დაარქვა ელიზავეტპოლი, რომელიც საკვანძო მნიშვნელობის ქალაქი იყო რუსეთის ფედერაციისათვის კავკასიის დაპყრობის გეგმაში.

კავკასიაში ომის დროს რუსეთს არსებული წინააღმდეგობების ჩასახშობად ეხმარებოდნენ არა მხოლოდ ქართველი ოფიცრები, რომლებიც რუსეთის იმპერიულ არმიაში მსახურობდნენ, არამედ ეთნიკური ქართული შეიარაღებული დაჯგუფებებიც რუსეთის იმპერიის სამსახურში იდგნენ. ზოგად, იმ დროს კავკასიაში მცხოვრები თითქმის ყველა არალეგალი ჯარისკაცი შედიოდა რუსეთის არმიის შემადგენლობაში, ასევე საომარ ოპერაციებში ნებაყოფლობით მონაწილეობდნენ ეროვნული თუ საპოლიციო ფორმირებები. პოლიციის მონაწილეობა სამთავრობო ჯარების ოპერაციებში იყო ცნობილი იმპერიული ლოზუნგის "გათიშე და იბატონე" ერთ-ერთი გამოვლინება: საპოლიციო და ეროვნულმა ერთეულებმა მიზნად დაისახეს

კავკასიის სამთავრობო ელიტის ინტეგრაცია და ამ რეგიონის ადმინისტრაციული პერსონალის სწავლისა საშუალება მიეცა ასევე შეიქმნა სამხედრო სამსახური, სამხედრო სამსახურმა შესაძლებელი გახადა მრავალრიცხოვანი სოციალური ფენის კონტროლი. ამ რეფორმების შედეგად კავკასიის წინააღმდეგ წარმოებულ ომში მონაწილეობა მიიღეს: ქართველებმა (ქართლი, კახეთი), იმერეთის, სამეგრელოს და სვანეთის საპოლიციო ქვედანაყოფებმა. ამ მოვლენების ფონზე თუ არსებობს მოსაზრება , რომ დაღესტნისა და ვაინახების შეიარაღებულ მებრძოლთა ძალების მონაწილეობა აფხაზების წინააღმდეგ შეიძლება აიხსნას მეზობელ ხალხთა შორის დაპირისპირებით, მაშინ საზღვარგარეთ არსებულ კამპანიებში სხვადასხვა ქართული სამხედრო შენაერთების მონაწილეობა შეიძლება აიხსნას არა მხოლოდ გამდიდრების იმედით, არამედ სურვილით იმპერიული ხელისუფლების წინაშე, დაემტკიცებინათ მათი ერთგულება.

ისტორიული ფაქტების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ფაქტორი, რუსეთის მიერ კავკასიის ათვისების პროცესში ძალიან დიდია, ქართველ გენერლებს, ოფიცრებსა და არალეგალი საჯარისო დანაყოფებს დიდი როლი მიუძღვით სამუშაო გეგმების შემუშავებასა და დაპყრობის წარმოებაში. თუმცა ამავდროულად ისინი მოქმედებდნენ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, ერთდროულად ცდილობდნენ ყოფილიყვნენ რუსეთის საიმედო მოკავშირენი და ამავდროულად იქმნიდნენ მთიელი ხალხის ეროვნული და კულტურული ინტერესების დამცველის იმიჯს.

თავი 2- რუსეთის კავკასიური პოლიტიკა პოსტსაბჭოთა პერიოდში

2.1 ცივი ომის დასარული და რუსეთის ინტერესების ტრანსფორმირებული ხედვა

საბჭოთა კავშირის დაშლა რუსი ხალხისათვის იყო საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კომუნისტურმა იდეოლოგიამ სრული კრახი განიცადა, განადგურდა ძველი იდეოლოგიები, ჩამოიშალა სახელმწიფო ინსტიტუტები, დაიშალა სამხედრო ინდუსტრია,დაიწყო საზღვარგარეთ კაპიტალის გადინება, ქვეყანა მოიცვა მასობრივმა სიღარიბემ, რამაც გამოიწვია ეკონომიკის კრიმინალიზაცია და ოლიგარქიის ფენის გაჩენა, წლიდან წლამდე რუსეთის მოქალაქეთა რიცხვი მცირდებოდა შედეგად პოსტ-საბჭოთა სივრცე ხანგრძლივმა კრიზისმა მოიცვა, ქვეყანა იდგა სიღარიბის ზღვარზე და საჭირო იყო რეფორმები, რაც რუსულ ეკონომიკას მისცემდა ბიძგს კაპიტალურ სამყაროსთან ინტეგრაციისათვის.

ახლად ჩამოყალიბებული მთავრობის მიერ შემუშავდა რეფორმა „ შოკური თერაპია“ რეფორმის ავტორი იყო რუსეთის ეკონომიკის მინისტრი იგორ გეიარი, შოკური თერაპიის მთავარ ინსტრუმენტებს წარმოადგენდა - პრივატიზაცია, დერეგულაცია, ვაჭრობის თავისუფლება და ფასების ლიბერალიზაცია. რისი საბოლოო მიზანიც სახელმწიფოს როლის შემცირება და ეკონომიკის ბუნებრივ წესრიგში დაბრუნება იყო, რაც თავის მხრივ ფასების ლიბერალიზაციის მეშვეობით მოთხოვნა მიწოდების წონასწორობის აღდგენას გულისხმობდა. "შოკურმა თერაპიამ" შეამცირა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი. ფასების ლიბერალიზაცია იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი ბაზარზე ეკონომიკის, ასამოძრავებლად გარდა ამისა, რეფორმების შედეგად გადალახეს ძლიერი პროდუქტის დეფიციტი, შიდა ბაზარი აივსო საქონლით, მათი ხარისხი და სპექტრი გაიზარდა. თუმცა მეორეს მხრივ, ფასების უკონტროლო ზრდა, რომელსაც არ მოჰყვებოდა ხელფასის სათანადო ზრდა, საგრძნობლად დასწია ცხოვრების დონე, რამაც სერიოზული სოციალური დაძაბულობა გამოიწვია. რეფორმებმა , მიუხედავად ყველაფრისა, ვერ მოახერხა ინფლაციის დონის შემცირება და ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში გამოიწვია ნეგატიური შედეგები, ფასების ლიბერალიზაციით გამოწვეულმა ინფლაციამ გაანადგურა რუსული წარმოების კაპიტალი, შეამცირა საგადასახადო შემოსავლები მოხდა ეკონომიკის კრიმინალიზაცია, ჩამოყალიბდა

ოლიგარქიული ფენა, ოლიგარქთა ნაწილმა მოახერხა ბანკების დაარსება, რომელთა მთავარი საქმაინობასაც სახელმწიფო აქტივებით სპეკულირება და მათი მისაკუთრება იყო.

საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთისათვის მთავარ პრობლემად ამ პერიოდში, გარდა სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემებისა გამაერთიანებელი იდეის არარსებობა იქცა.

1996 წლის 12 ივლისს რუსთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა გასცა ბრძანება სასწრაფოდ შეემუშავებინათ ქვეყნის ეროვნული იდეა, განკარგულების შესასრულებლად რუსეთის ინტელექტუალურ ელიტას ერთი წელი მიეცა. ამ პერიოდში რუსეთის წინაშე ძალინ მნიშვნელოვანი ამოცანები იდგა, უნდა განესაზღვრათ სახელმწიფოს არსებობის მიზნები, და მასში შემავალი სხვადასხვა ეთნოსის ერთიანობის საფუძველი. სხვაგვავრად შესაძლებელი იყო ქვეყანას სსრკ-ს ბედი გაეზიარებინა. რისი მნიშვნელოვანი წინაპირობა ჩეჩნეთში არსებული სეპარატისტული განწყობები იყო, ჩეჩნეთში სეპარატიზმის ჩასახშობად რუსეთს ორი ომის წარმოება დასჭირდა. ჩეჩნეთში წარმოებულმა სამხედრო კამპანიებმა რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობაში, პატრიოტული განწყობები გააღვივა, ტერიტორიულმა თავდასხმებმა და ბრძოლის პროცესმა საბოოლოოდ რუსეთისათვის დადებითად იმოქმედა და რუსეთის ელიტამ იდეოლოგიური ბაზის არსებობის გარეშე, მტრის ხატის წყალობითა და ძალოვანი სტრუქტურების შეუზღუდავი მუშაობის შედეგად მოახერხეს სეპარატიზმის მნიშვნელოვნად ნეიტრალიზება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება. .

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მის ადგილზე გაჩნდა 15 დამოუკიდებელი რესპუბლიკა,რომლებიც აღიარა საერთაშორისო საზოგადოებამ თუმცა ამ ახალ სახელმწიფოებს ძალიან მძიმე საბჭოთა მემკვიდრეობა დარჩათ, როგორც ეკონომიკაში ისე სოციალურ და ფსიქოლოგიურ ასპექტში. ამ პერიოდში აშშ-სა და ევროპის ქვეყნებმა ნატოს დროშით დაიწყეს აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება, რაც

ნიშნავდა რეგიონში რუსეთის ინტერესების უგულებელყოფას. რამაც გამოიწვია ანტიდასავლური განწყობების გაჩენა 1990-იან წლებში რუსეთსა და დასავლეთს შორის ჩნდება მზარდი წინააღმდეგობები, რაც გამოწვეული იყო ძირითადად, იუგოსლავიის კონფლიქტის მოგვარების მცდელობით, ნატოს აღმოსავლეთ გაფართოების მცდელობითა და ჩეჩნეთის კრიზისით. ამ პერიოდში რუსეთი განიცდიდა ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ კრიზისს მის ისტორიაში, და მას სჭირდებოდა დასავლელი პარტნიორების მხრიდან ეფექტური ეკონომიკური დახმარება და მისი ეროვნული ინტერესების გათვალისწინება, მაგრამ რუსეთისა და ევროკავშირის პოლიტიკაში არ იკვეთებოდა საერთო მიზნები, შესაბამისად ვერ შედგა მათი თანამშრომლობა.

რუსეთ-ნატოს ურთიერთობების დონეზე მთავარ წინააღმდეგობებს წარმოადგენდა: თვით ნატოს არსებობის ფაქტი, რომლის საერთო პოტენციალი აჭარბებდა რუსეთის პოტენციალს, ამიტომ რუსეთში ნატო აღიქმებოდა ერთერთ მნიშვნელოვან საფრთხედ. თუმცა მიუხედავად ამისა მათ შორის დაიდო რუსეთ-ნატოს ურთიერთობათა აქტი, რომელიც მიზნად ისახავდა მხარეთა თანამშრომლობას, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ალიანსში გაწევრიანების ფონზე.

1997 წელს გაფორმდა ხელშეკრულება, ამ თანამშრომლობის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები იყო ავღანეთში 2001 წლის კრიზისთან დაკავშირებით 2002 წელს რუსეთ-ნატოს საბჭოს შექმნა და უკრაინის ნატო-ს ლოჯისტიკური ცენტრის ჩამოყალიბება ნატო-ს რესურსების ავღანეთში რუსეთის გავლით გადასვლისთვის. 2008 წელს რუსეთ-ნატოს თანამშრომლობა კავკასიის კრიზისის გამო შეჩერდა. უკრაინულმა კრიზისმა დაადასტურა, რომ მხარეების ინტერესები ნაკლებად არის ერთმანეთთან თანხვედრაში.

ბოლო 25 წლის განმავლობაში მოსკოვმა სამჯერ სცადა დასავლეთთან დაახლოება, სცადა გამხდარიყო ევრო-ატლანტიკურ თანამეგობრობის თანასწორი წევრი მისი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, საზღვრების დაცვისა და ზე სახელმწიფოდ აღორძინების სურვილით. თუმცა

მიუხედავად იმისა რომ რუსეთის ინტერესები დასავლეთის მხრიდან იგნორირებულ იქნა და ურთიერთ თანამშრომლობა ვერ შედგა, ფაქტია, რომ რუსეთის სასაზღვრო პერიმეტრის უსაფრთხოება მაინც შენარჩუნებულ იქნა. მოვლენებათა ერთობლიობის ფონზე როდესაც რუსეთის ინტერესები იგნორირებულია და მისი ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობები ვერ შეედრება შეერთებული შტატების შესაძლებლობებს, რუსეთის სუვერენიტეტის უკანასკნელი გარანტიად რჩება ბირთვული იარაღი. აგრეთვე რუსეთის ფედერაცია მხარს უჭერდა გლობალური პროცესების სამართლებრივ კოლექტიურ მართვას, იალტის სისტემის (გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვათა) მექანიზმებით მრავალმხრივი მსოფლიო წესრიგის დაცვას . ამ ნაბიჯებით რუსეთი ცდილობდა უზრუნველეყო მისი ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე.

რუსეთის პრიორიტეტი იყო ევროპულ და ევროატლანტიკურ ორგანიზაციებთან ინტეგრაცია, მათ შორის გაწევრიანების პერსპექტივა (1992 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი, პარტნიორობის შეთანხმება და რუსეთ-ევროკავშირის პარტნიორობა, 1996 წელს ევროპის საბჭოს წევრობა იარაღის შემცირება და ნდობის აღდგენის ღონისძიებები (1992 ღია ცის ხელშეკრულება). ასევე მიუხედავად რუსეთის შემადგენლობაში არსებული აზიის უდიდეს ტერიტორიისა, სულიერი საფუძველისა და აზიური კულტურისა, ცხოვრების წესი ევროპული იყო. გარდა ამისა რუსეთის მხრიდან დასავლეთისათვის მთავრი გზავნილი 1990-იანი წლების დასაწყისში იყო სლოგანი "რუსეთი ევროპაში დაბრუნდა“.

მოდერნიზებულ დასავლური ცენტრისტული კურსიდან პრაგმატული მულტი-ვექტორული მიდგომის გადასვლის შედეგად რუსეთის ევროპასთან თანამშრომლობა ტაქტიკური მიზნებისა და ბიზნეს ინტერესების საფუძველზე მოხდა. რუსეთმა სცადა წამოეწყო ენერგეტიკული დიალოგი (დაიწყო 2000 - 2005 წელს - ჩრდილოეთ ნაკადი- ის მშენებლობა) და პოლიტიკური კავშირები (2000 წლიდან რუსეთ-ევროკავშირის სამიტებში მონაწილეობდა, 2003 წელს გაფორმდა ხელშეკრულება ოთხი საერთო სივრცის შექმნის თაობაზე გაიმართა

მოლაპარაკებები ვიზების გაუქმების შესახებ და ATP-2-ხელმოწერის შესახებ ევროკავშირთან ინტეგრაციისათვის ბიზნესის, ვაჭრობისა და ეკონომიკური საკითხების შესახებ.

რუსეთსა და ევროკავშირს შორის დაახლოების შესაძლებლობა გააჩინა 2001 წლის შემდეგ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის იმპლემენტაციამ, ჩამოყალიბდა საერთაშორისო უშიშროების დახმარების ძალები (ISAF), მისი მისია ქაბულსა და მის გარშემო ტერიტორიაზე სტაბილურობის შენარჩუნება იყო.

2003 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გაიმართა დებატები ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების საკითხზე. ამერიკის მხრიდან შემოთავაზებულ იქნა სამხედრო ინტერვენცია, რასაც შეეწინააღმდეგნენ ჩინეთი, რუსეთი, საფრანგეთი და გერმანია თუმცა მიუხედავად წინააღმდეგობისა აშშ-მ გაეროს მანდატის გარეშე შექმნა მოკავშირე სახელმწიფოთა კოალიცია, შეიჭრა ერაყში და ჩამოაგდო სადამ ჰუსეინი. ერაყის განთავისუფლების ოპერაცია მალევე გარდაიქმნა გაეროს მიერ ერაყის სტაბილურობის შესანარჩუნებელ მრავალეროვნულ ოპერაციად. ოპერაციის შედეგად არ დადასტურდა ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა, რასაც საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა და საბოლოო ჯამში ომმა დესტაბილიზაცია გამოიწვია. რუსეთისათვის მიმდინარე მოვლენების კულმინაცია იყო ევროკავშირის მიერ 2008 წელს კოსოვოს აღიარება, გაეროს უშიშროების საბჭოს 1244 რეზოლუციის სადავო ინტერპრეტაციით, რაზეც რუსეთის საპასუხო მოქმედება იყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. რუსეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები ჩიხში შევიდა და შეჩერდა მოლაპარაკებები მემარჯვენეების კავშირის შესახებ.

2008-2011 წლებში კვლავ განახლდა რუსეთ-ევროკავშირის პარტნიორობის მოდერნიზაცია. რუსეთმა ამჯერად უკვე მესამედ სცადა დასავლეთთან ურთიერთ თანამშრომლობა და 2008 წლის ევროპული სარაკეტო

თავდაცვის სისტემის შექმნის შესახებ აშშ-ს მოლაპარაკებების საპასუხოდ, რუსეთმა ევროპის უსაფრთხოების ხელშეკრულების პროექტი (EST) წარადგინა, 2010 წელს რუსეთმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს რუსეთთან სადესანტო ვაჭრობის შესახებ, იტალიამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას იტალიურ ჯავშანტექნიკა ივეკოს შეძენაზე, ასევე ხელმოწერა განხორციელდა "საერთო სივრცის" იდეის (პროექტის "პარტნიორობა მოდერნიზაციისთვის" 2010 წლის მოლაპარაკებები, ATP-2- ის შესახებ) განხორციელების მიზნით. რაც იყო დასავლური ქვეყნების ახალი მცდელობა ცალმხრივად ემოქმედათ გაეროს სტანდარტების გვერდის ავლით, რაც ეფუძნება ევროკავშირის / ნატოს ძალებს (2011 წელს არაბული რევოლუციების დასავლური მხარდაჭერა, 2011 წელს ნატო-ს მიერ ლიბიის ინტერვენცია) მიზანს გაეროს წესდების საფუძველზე კოლექტიური უსაფრთხოების საფუძველზე მოეგვარებინათ კონფლიქტები.

ევროკავშირის ქვეყნები, რომლებსაც 2011 წელს, ლიბანისა და სირიის ქვეყნებში ოპოზიციური ძალების ცალმხრივი მხარდაჭერა გამოუცხადეს, მიზნად ისახავდა დასავლეთისთვის არასასურველი რეჟიმის ძალადობრივ დამხობას. რაც გახდა უკრაინის კრიზისის კატალიზატორი ყირიმის შემდგომ მოვლენებთან, დონბასში და 2014-2017 წლებში რუსეთსა და დასავლეთს შორის დაიწყო სანქციების ომი. ამრიგად რუსეთ-დასავლეთის პარტნიორობა ამჯერადაც ვერ შედგა და რუსეთი დადგა არჩევანის წინაშე ან დაეყრდნოს სხვა ქვეყნებს ელოდოს მათ დახმარებას ან გახდეს ძლიერი ზე სახელმწიფოთა საპირწონე ქვეყანა, ამ შემთხვევში საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ერთად ერთი სწორი არჩევანი იყო ძლიერ ქვეყანად ქცევა. გაჩნდა იდეა საბჭოთა კავშირის რეანიმაციის მოდერნიზებული სახით ევრაზიულ სივრცეში, რაც იყო ახალი გეოპოლიტიკური დოქტრინა, რომელიც შეიმუშავა რუსმა ფილოსოფოსმა ალექსანდრ დუგინმა რომელიც, წარმოადგენს რუსეთის სამოქმედო გეგმას და მოიცავს პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, სამხრეთ აზიის და ახლო აღმოსავლეთის ერთიან კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბლოკად ქცევას, რომელიც ევროატლანტიკური ალიანსის საპირწონე ძალა იქნება.

2.2. რუსეთის პოლიტიკა კავკასიის მიმართ პოსტსაბჭოთა პერიოდში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიის პოლიტიკურ არენაზე გადაიკვეთა მსხვილი პოლიტიკური მოთამაშეების ინტერესები რუსეთის, თურქეთის, ირანის, აშშ-ს, ევროკავშირის და ნატოს. საბჭოთა კავშირის დაშლამ განაპირობა ორი მნიშვნელოვანი ცვლილების განხორციელება, ერთის მხრივ, აშშ-ს პოლიტიკის სრული ტრანსფორმაციის საკითხი დადგა, ხოლო მეორეს მხრივ რუსეთისათვის რუსეთისათვის ღირებულებებისა და ფასეულობების გადახედვის დრო დადგა.

საბჭოთა კავშირისმ მოულოდნელმა ჩამოშლა რუსეთი და რუსი ხალხი ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო, ეს მოვლენა მეტყველებდა არა მხოლოდ პოლიტიკური წყობის უვარგისობაზე, არამედ იმ ღირებულებეის და ფასეულობების სიმცდარეზე, რომელზე დაყრდნობითაც იყო აწყობილი საბჭოთა კავშირი, შესაბამისად სრულიად რუსეთი და რუსი ხალხი უნდა გადასულიყო ახალ გზაზე ახალი ღირებულებებითა და ფასეულობებით. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად რეგიონმა ახალი გეოპოლიტიკური სტატუსი მიიღო „საბჭოთა ტრანსკავკასია“ ამ სახლწოდების ქვეშ მოიაზრებოდნენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები: სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო, რომელშიც შედიოდა ხუთი ავტონომიური ოლქი: აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონი - საქართველოს სსრ-ში, ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკა და მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ რეგიონი აზერბაიჯანის სსრ-ში.

პოსტსაბჭოთა პერიოდში მიუხედავად რეგიონში არსებული რუსეთის უდავო და უპრეცედენტო გავლენისა დასავლეთის ქვეყნები მაინც ცდილობდნენ შეეღწიათ კავკასიის ქვეყნებში,რადგან მათ ინტერესში შდიოდა მშვიდობიანი და

სატბილური სამხრეთ კავკასია. ამ დროს რუსეთის ფედერაციის ამოცანას წარმოადგენდა, მისი გლობალური გეგმები და ამბიციები დემოკრატიულ კონტექსტში მოექცია, ამავე დროს უნდა მოეგვარებინა გადაუწყვეტელი სამხედრო-პოლიტიკური სივრცის უსაფრთხოების პრობლემები და მოეწესრიგებინა ეკონომიკური სტაბილიზაციის და შემდგომი განვითარების პირობები.

რუსეთის ხელმძღვანელობამ, რომელმაც დასავლეთთან "დემოკრატიული სოლიდარობის" კურსი გამოაცხადა, ყურადღება გაამახვილა უკრაინის, ბელორუსიისა და ყაზახეთის ბირთვული სტატუსის მქონე ქვეყნებში არსებული პრობლემების მოგვარებაზე, რაც თავის მხრივ მოიაზრებდა კონფლიქტის რეგიონებში საქართველოში, დნესტნისპირეთიში, მთიანი ყარაბაღში და ტაჯიკეთში მასობრივი სისხლისღვრის თავიდან აცილებას. თუმცა მიუხედავად ამისა ყოფილი საბჭოთა კავშირის არცერთ სხვა რეგიონში, სახელმწიფო სუვერენიტეტის ჩამოყალიბება არ იყო ასოცირებული ისეთი დიდ სისხლისღვრასთან, როგორიც იყო სამხრეთ კავკასიაში, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო იმით, რომ სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა რუსეთის ფედერაციისათვის სადაზვერვო ზეგავლენის ობიექტ სახელმწიფოს წარმოადგენს. შესაბამისად, რუსეთის ფედერაცია მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტით და მექანიზმით ცდილობს აღნიშნულ ქვეყნებზე კონტროლის მოპოვებას. სადაზვერვო ინტერესების აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის მიერ უკვე გამოყენებულია ისეთი მეთოდი, როგორიცაა- ეთნიკური და რელიგიური ხასიათის კონფლიქტების ინსპირირება. ამ მიმართულებით სადაზვერვო კონტროლის შენარჩუნების საფუძველს იძლევა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ინსპირირებული მთიანი ყარაბაღის, ხოლო საქართველოში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტები. ორივე კონფლიქტის შედეგად ათობით ათასი ადამიანი დაიღუპა და ასობით ათასი იძულებით მიგრაციის მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომელთაგან ბევრი ჯერ კიდევ არაადამიანურ პირობებში ცხოვრობს.

აზერბაიჯანისა და სომხეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, კონფლიქტი, რომელიც საბჭოთა კავშირის ფარგლებში ვერ მოგვარდა, ავტომატურად შეიძინა სახელმწიფოთაშორისი და საერთაშორისო სტატუსი. კონფლიქტი 1991 წელს გადაიზარდა ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტში, და მხოლოდ 1994 წლის მაისში დასრულდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერითა და ეუთო-ს ეგიდით სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყების შესახებ (თანათავმჯდომარეები არიან რუსეთი, საფრანგეთი და აშშ). 1994 წლისთვის, ომმა ორივე მხარეს ძალიან დიდი ადამიანური და მატერიალური დანაკარგი დაუტოვა.

საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამი სამოქალაქო ომი გამოიარა (აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, გამსახურდიას და სახელმწიფო საბჭოს მომხრეებს შორის). თუმცა, მიუხედავად ღრმა ეკონომიკური კრიზისისა და სახელმწიფოებრიობის თითქმის სრული ჩამოშლისა, საქართველომ შეძლო დემოკრატიული ერთიანი სახელმწიფოს შექმნა, და დიდი ძალისხმევით ცდილობს დასავლეთის უსაფრთხოების სტრუქტურებში ინტეგრირებას. საქართველოს ევროპული არჩევანი რუსეთისათვის აღიქმებოდა ანტირუსულ ქმედებად, რის საწინააღმდეგოდაც რუსეთის მიერ ინსპირირებულ იქნა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები, სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტები და სამხედრო-პოლიტიკური დაძაბულობა, რუსეთისათვის მომგებიან პოზიციას ქმნის საერთაშორისო და რეგიონალურ დონეზე, დიდ გავლენას ახდენს გავლენის სფეროების გადანაწილებასა და სტრატეგიული რესურსების კონტროლზე.

ყველა დროის უდიდესი იმპერიის ნანგრევებზე დარჩენილმა საბჭოთა კავშირის სამართალ მემკვიდრე რუსეთს, იმისათვის რომ დაემკვიდრებინა ადგილი სხვა უძლიერეს სახელმწიფოებს შორის და აღესრულებინა მისი სურვილი კვლავ დაბრუნებულიყო გლობალური მოთამაშის ამპლუაში მას უნდა მოეხერხებინა მის ხელთ არსებული ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება და

პოსტსაბჭოთა სივრცეში გამხდარიყო ეკონომიკური ცენტრი და ამ გზით გაფანტული ქვეყნები კვლავ მიზიდულობის ცენტრის ირგვლივ მოეყარათ თავი.

რუსეთის იმპერიის ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ უფრო აქტიური გახდა, საერთაშორისო არენაზე რუსეთის ანგარიშგასაწევ ძალად ქცევა. ამისათვის კი ერთ-ერთი აუცილებელი პირობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე გავლენის აღდგენა, პოსტსაბჭოთა სივრცე რუსეთის უსაფრთხოების უპირველესი გარანტიაა და იმისათვის, რომ სუპერსახელმწიფოს სტატუსი დაებრუნებინა ჯერ აუცილებელი იყო შეევსო ის ვაკუუმი, რომელი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში შეიქმნა.

რუსეთის ხელისუფლება ვლადიმერ პუტინის ხელმძღვანელობით აქტიურად იწყებს საერთაშორისო არენაზე საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას და ქვეყანაში ბუნებრივ რესურსებზე მონოპოლიის დამყარების შემდეგ მთავრი მიზანი ევროპაზე ზეგავლენის ბერკეტების გაძლიერება რაც გამოიხატებოდა ევროპაში ერთადერთ ენერგო მომწოდებლად დარჩენას, რაც ავტომატურად გამოიწვევდა ევროპის დამოკიდებულებას რუსულ გაზსა და სხვა რესურსებზე ამ მიზნის განსახორციელებლად მას უნდა შეენარჩუნებინა კონტროლი ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე და აზერბაიჯანზე. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად გადაიდგა წარმატებული ნაბიჯები „ჩრდილოეთ“ და „სამხრეთ“ ნაკადების პროექტების შემუშავებით.

რუსეთის ფედერაციამ დაიწყო პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში არსებული სტრატეგიული ობიექტების და სახელმწიფო კომპანიების შესყიდვა, რათა მომხდარიყო ზეგავლენის ბერკეტების კიდევ უფრო გაძლიერება. რუსეთის ფედერაცია ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების შესამცირებლად, აქტიურად იყენებს ენერგო და ეკონომიკურ დამოკიდებულებას რუსეთზე.

სამხრეთ კავკასიაში რუსეთის მთავრი ინტერესია უკანა მხრიდან არ მოეპაროს დასავლური სამხედრო ალიანსი ამიტომაც იგი არასოდეს არ დაუშვებს

მის საზღვრებთან სხვა სახელმწიფოს ან ალიანსის გამოჩენას და ამ ფაქტის ნათელი მაგალითად 2008 წლის რუსეთ- საქართველოს ომი. ამრიგად რუსეთი მისი ქმედებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებს არ აძლევს საშუალებას გაატარონ დამოუკიდებელი პოლიტიკა და თითოეულ ქვეყანას პრორუსული პოლიტიკური კურსიდან გადასვლისთანავე ავტომატურად უქმნის პრობლემებს.

საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის მთავარი გამოწვევა რუსეთის ფედერაციაა და თითოეული ქვეყანა ცდილობს საკუთარი საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლად გასატარებლად დაამყაროს დიალოგი ან ითანამშრომლოს რუსეთთან. და ის პოსტსაბჭოთა ქვეყნები ,რომლებიც დაისახავენ მიზნად ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას მათთვის მოულოდნელი არ უნდა იყოს რომ რუსეთის ფედერაცია მას ყველა მეთოდის გამოყენებით შეუქმნის პრობლემას.

2.3 პოსტ-საბჭოთა რუსეთის წინაშე მდგარი პოლიტიკური პრობლემები (ჩეჩნეთის ომი)

კავკასიის დაპყრობის პროცესში რუსეთი უამრავ პრობლემას წააწყდა განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობას ჩეჩნეთის მხრიდან , პერესტროიკის დასაწყისში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ჩათვლით, სხვადასხვა ნაციონალისტური მოძრაობები გააქტიურდა . ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია იყო ჩეჩენი ხალხის ეროვნული კონგრესი (ჩეხეთის რესპუბლიკა), რომელიც შეიქმნა 1990 წელს, რომლის მიზანი იყო სსრკ -გან ჩეჩნეთის გამოყოფა და დამოუკიდებელი ჩეჩნეთის სახელმწიფო ჩამოყალიბება. მას ხელმძღვანელობდა საბჭოთა საჰაერო ძალების ყოფილი გენერალი ჯოხარ დუდაევი.

1991 ივლისში ჩეჩენ ხალხთა ეროვნულ კონგრესზე დუდაევმა გამოაცხადა რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკა არ არის არც რუსეთის საბჭოთა სოციალური რესპუბლიკის და არც სსრკ-ს ნაწილი ამავე წელს დუდაევმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და რუსეთს კოლონიალური პოლიტიკის გატარებაში დასდო ბრალი. იმავე დღეს დუდაევის მხარდამჭერებმა უზენაესი საბჭოთა შენობა, სატელევიზიო ცენტრი და რადიო გაანადგურეს. 40-ზე მეტი დეპუტატი სცემეს და გროზნოს საკრებულოს თავმჯდომარე ვიტალი კუცენკო მოკლეს და ფანჯრიდან გადმოაგდეს.

1991 წლის 27 ოქტომბერს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები სეპარატისტების კონტროლქვეშ გაიმართა რესპუბლიკაში, ჯოხარ დუდაევი გახდა რესპუბლიკის პრეზიდენტი. დუდაევის ოპონენტებმა არჩევნების შედეგები გაყალბებულად გამოაცხადეს.

1991 წლის 7 ნოემბერს რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ხელი მოაწერა ბრძანებას "ჩეჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკაში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემდგომ სეპარატისტებმა დაბლოკეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა, ჩეჩენ-ინგუშური სამხედრო ბანაკები, რკინიგზა და საჰაერო გზები საბოლოო ჯამში, საგანგებო მდგომარეობის დანერგვა ჩაიშალა, 11 ნოემბერს, "ჩეჩენეთ-ინგუშეთის რესპუბლიკაში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ" სხდომაზე მწვავე დისკუსიის შემდეგ რუსეთის პარლამენტმა არ დაამტკიცა. გროზნოში სეპარატისტთა გამარჯვებამ ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაშლა გამოიწვია. მალგობეკი, ნაზრანი და ყოფილი ჩეჩენ-ინგუშური ასსრ-ის ყველაზე დიდი ნაწილი, ინგუშეთის რესპუბლიკა ჩამოყალიბდა რუსეთის ფედერაციაში ხოლო სსრკ-ს დაშლის შემდეგ, ჯოხარ დუდაევმა განაცხადა ჩეჩნეთის საბოლოო გამოყოფა რუსეთის ფედერაციიდან.

1992 წელს ბორის ელცინმა პოსტსაბჭოთა ქვეყნების შესთავაზა ხელშკრულების გაფორმება , რომელიც ფედერაციაში შემავალ რეგიონებს

ფართო ავტონომიის უფლებას აძლევდა, ხელშეკრულებას 88 რეგიონიდან ორმა, ჩეჩნებმა და თათრებმა არ მოაწერეს ხელი, თუმცა ორი წლის შემდეგ 1994 წელს თათრებმა მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას. დარჩა მხოლოდ ჩეჩნეთი რომელმაც სცადა სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნება, რუსეთის ფედერაციამ გადაწყვიტა მოემარაგებინა ჩეჩნეთში არსებული ოპოზიციური ძალები, რომელთაც 1992 წლის მარტში ჩეჩნეთის მთავრობის ჩამოგდება სცადეს, თუმცა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

1994 წლის 30 ოქტომბერს რუსეთის ავიაციამ დაბომბა გროზნო, რაშიც ჩეჩნეთის ოპოზიციურმა ძალებმაც დაუჭირეს მხარი. გროზნოზე მეორე შეტევა 26-27 ნოემბერს განხორციელდა, ორივე შეტევა მოგერიებულ იქნა ჩეჩნი მებრძოლების მიერ პრეზიდენტ ჯოხრ დუდაევის მეთაურობით. 29 ნოემბერს რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ჩეჩნეთის მთავრობას მოსთხოვა იარაღის დაყრა და დანებება .

ჯოხარ დუდაევი ულტიმატუმზე არ წამოვიდა და მოლაპარაკებები ჩეჩნეთის სეპარატისტულ მთავრობასა და რუსეთს შორის არაფრის მომცემი აღმოჩნდა, შედეგად 1994 წლის 11 დეკემბერს ჩეჩნეთში შეიჭრა რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის ჯარების ქვედანაყოფები, . ჯარები სამი ჯგუფად იყო დაყოფილი და სამი სხვადასხვა მხრიდან დაესხნენ ჩეჩნეთს თავს : ჩრდილოეთ ოსეთიდან, მოზდოკის ოლქის პირდაპირ, ჩეჩნეთის პირდაპირ საზღვარზე და აღმოსავლეთ დაღესტნის ტერიტორიიდან, დაიწყო ფართო მაშტაბიანი ომი .

1994-1995 წლების დეკემბერ-იანვარში გროზნოზე რუსეთის საავიაციო და საარტილერიო შეტევების შედეგად ათასობით მშვიდობიანი მოსახლე გარდაიცვალა. გროზნო იქცა ჯოჯოხეთად დედამიწაზე, ამ ომის საწყის ეტაპზე ყველაზე მეტად დაზარალდა ის უდანაშაულო ხალხი, რომელთაც ვერ მოასწრეს დროულად თავშესაფრის პოვნა, მოგვიანებით კი შეტაკება იმდენად დამძიმდა ,რომ დაბომბვები თითქმის მთელი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გავრცელდა და ფაქტობრივად აღარ იყო დარჩენილი უსაფრთხო ადგილი. ჩეჩენი მებრძოლების

გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსეთის არმიამ შეძლო გროზნოს აღება, თუმცა შეტაკებები ამით არ დასრულებულა და ბრძოლა ქალაქის სამხრეთით 1995 წლის 6 მარტამდე გაგრძელდა.

15 აპრილს რუსული კოლონები ჩეჩნეთის სამხრეთითგანლაგდნენ , 1995 წლის ივლისში ჩეჩნებმა შამილ ბასაევის მეთაურობით 1500 ეთნიკური რუსი ჯარისკაცი აიყვანეს ტყვედ, ამის შემდეგ რუსეთი ულტიმატუმს დასთანხმდა და გარკვეული დროით შეაჩერა სამხედრო ოპერაციების წარმოება, ამით ისარგებლეს ჩეჩნებმა და პარტიზანული ბრძოლის წარმოება დაიწყეს რუსების წინააღმდეგ. ახმედ კადიროვმა ჯიჰადი გამოაცხადა რუსეთის წინააღმდეგ და არა ჩეჩენ ხალხს მოუწოდა ბრძოლაში ჩართულიყვნენ, მოწოდებას 5000 მოხალისე გამოეხმაურა და მოხალისედ ჩავიდა სხვადასხვა რეგიონებიდან ჩეჩნეთში საბრძოლველად.

1996 წლის 6 მარტს ჩეჩენმა მებრძოლებმა იერიში კვლავ მიიტანეს გროზნოზე, სადაც ბრძოლები სამი დღე მიმდინარეობდა, სეპარატსტებმა დაბლოკეს ადმინისტრაციულ შენობები და ქალაქის ცენტრი , ასევე გადაკეტეს გზები და საგუშაგოები. ჩეჩნებმა დიდძალი იარაღი ჩაიგდეს ხელთ და 16 აპრილს იბნ ალ-ხატაბის(არაბი მხედართმთავრი) მეთაურობით ჩეჩენმა მებრძოლებმა სოფელ შატოისთან გაანადგურეს რუსული სამხედრო კოლონა. 1996 წლის 21 აპრილს რუსთის დაბომბვებს შეეწირა ჩეჩნეთის პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი.

1996 წელის 28 მაისს ჩეჩნეთის ახალმა პრეზიდენტმა ზელიმხან იანდარბიევმა და რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, თუმცა მიუხედავად შეთანხმებისა ბრძოლები არ წყდებოდა. 6 აგვიტოს ჩეჩენმა სამხედრო შენაერთებმა მოულოდნელად იერიში მიიტანეს გროზნოზე, 19 აგვისტოს რუსეთის მხედართ- მთავრმა კონსტანტინ პულიკოვსკიმ ჩეჩენ მებრძოლებს ულტიმატუმი წაუყენა, მათ 48 საათის განმავლობაში იარაღი უნდა დაეყარათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქალაქი მიწასთან გასწორდებოდა, პულიკოვსკის განცხადებას ქალაქში პანიკა მოჰყვა, მოსახლეობა ცდილობდა

სასწრაფოდ დაეტოვებინა ქალაქი, სანამ დაბომბვები დაიწყებოდა, მალევე რუსულმა ავიაციამ ლტოლვილთა კოლონიების დაბომბვა დაიწყო , რასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

22 აგვიტოს ულტიმატუმი სამშვიდობო ხელშეკრულების დადებით შეიცვალა. 31 აგვისტოს გამართული 8 საათიანი მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც ალექსანდრ ლებედსა და ასლან მასხადოვს შორის მიმდინარეობდა, ხასავ-იურტის ხელშეკრულების დადებით დასრულდა. ხელშეკრულების პირობების თანახმად ორივე მხარეს უნდა დაეტოვებინა გროზნო, ასევე უნდა ჩამოყალიბებულიყო გაერთიანებული სამმართველო ქალაქში გამეფებული მოროდიორობის აღსაკვეთად, ასევე დაიდო პირობა,რომ ჩეჩნეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის 2001 წლამდე არანაირი ხელშეკრულება აღარ დაიდებოდა. შეთანხმების გაფორმებიდან 9 თვის შემდეგ1997 წლის 12 მაისს ჩეჩნეთის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი მოსკოვში ჩავიდა, სადაც სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი რუსეთის პრეზიდენტთან. ომის შედგომმა კრიზისმა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ვაჰაბიზმის ზრდა გამიწვია.

2 წლის შემდეგ 1999 წლის 2 აგვისტოს ჩეჩენი მებრძოლები ჩეჩენი საველე მეთურიი შამილ ბასაევისა და ემირი იბნ ალ ხატაბის (ჩეჩენი საველე მეთაური, ისლამისტ, ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომის წინამძღოლი და დამფინანსებელი) მეთაურობით ჩეჩნეთიდან გადმოსული ძალები შეიჭრნენ დაღესტანში და გამოაცხადეს დაღესტნის დამოუკიდებელი რესპუბლიკა ამ დროს რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ კონტროლდებოდა დარსტნის ტერიტორია, 9 აგვისტოს განთვისუფლებულ იქნა თანამდებობიდან სტეპაშინი რომელიც ჩაანაცვლა ვლადიმერ პუტინმა. რუსეთს ფედერაცია დიდი ხანი ემზადებოდა ჩეჩნეთის დასაპყრობად და ფართემაშტაბიანი ომის დასაწყებად ამზადებდა ნიადაგს, ჩეჩნების მიერ დაღესტანში შეჭრა და რეგიონის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ვლადიმერ პუტინს მისცა შესაძლებლობა წამოეწყო ფართემაშტაბიანი ბრძოლა ჩეჩნური სეპარატიზმის საბოლოოდ გასანადგურებლად.

ჩეჩნეთის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციამ დაიწყო მეორე ომი, თუმცა ყველაფერი ჩეჩნებს უნდა დაბრალებოდათ და ამისთვის გარკვეული წინაპირობები შექმნა, საზოგადოებაზე კონტროლის შენარჩუნების მიზნით დაიწყო მტრის ხატის გამოძერწვა და შიშის დანერგვა მოსახლეობაში, რუსეთის სპეცსამსახურებმა ააფეთქეს საცხოვრებელი კორპუსები მოსკოვში და დახოცეს მშვიდობიანი მოქალაქეები, შემდეგ კი ყველაფერი ჩეჩნებს დააბრალეს. ქვეყანაში დაუცველობის პანიკა დაიწყო, შიშმა მოსახლეობაში რადიკალური ნაბიჯების გადადგმისკაენ მოწოდებები გაახშირა, რასაც მოჰყვა 1999 წლის ოქტომბერშ ვლადიმერ პუტინმა მასხადოვის ხელისუფლება არალეგიტიმურად გამოაცხადა და რუსეთის შეიარაღებული ძალები ჩეჩნეთში გაგზავნა და რუს ხალხს ჩეჩნეთთან ომში გამარჯვებას დაჰპირდა, რამაც მას საპრეზიდენტო არჩევნებში დიდი წარმატება.

1999 წლის 11 ოქტომბერს ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა სამშვიდობო გეგმა შეადგინა და ვლადიმერ პუტინს შესთავაზა შეხვედრა, რაზეც უარი მიიღო მას შემდეგ რაც არ შედგა მოლაპარაკებები, მასხადოვმა საღვთო ომი ღაზავატი გამოუცხადა რუსებს და შეუდგა მზადებას თავდაცვისათვის, ქვეყანაში გამოცხადდა საომარი მდგომარეობა და სამშობლოს დასაცავად გამოძახებული იქნა ყველა რეზერვისტი. ასლან მასხადოვმა დაქსაქსულ ჩეჩენ საველე მეთაურებს მოუწოდა გაერთიანებულიყვნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსი სამხედროები ადგილობრივ უხუცესებს ურიგდებოდნენ თუკი ისინი შეძლებდნენ მეამბოხეების განდევნას ჰპირდებოდნენ რომ მათი სოფლები გადაურჩებოდა დაბომბვას. 1999 წლის დეკემბერში რუსმა სამხედრო ძალებმა მოსახლეობას ქალაქის დატოვება მოსთხოვეს წინააღმდეგ შემთხვევაში მათ აჯანყებულებად და ტერორისტებად ჩათვლიდნენ და სასტიკად გაუსწორდებოდნენ.

რუსეთის ფედერაციამ დაიწყო თავდასხმების განხორციელება ჩეჩნეთის დასახლებულ პუნქტებზე, დაბომბვები ხდებოდა ბალისტიკური რაკეტებით. საჰაერო თავდასხმების შედეგად დაახლოებით 100.000 ადამიანი იძულებული

გახდა მიეტოვებინა საკუთარი სახლ-კარი და თავი შეეფარებინათ ინგუშეთის რესპუბლიკისათვის.

ჩეჩნეთის მეორე ომში რუსული არმია იბრძოდა დაუშვებელი მეთოდებით არ მოერიდნენ ქიმიური იარაღის გამოყენებას. დაბომბვების შედეგად ათასობით ადამიანი გარდაიცვალა, ასევე ჩეჩნეთში ჰქონდათ საკონცენტრაციო ბანაკები ე.წ ფილტრაციის პუნქტები სადაც ადამიანებს კითხავდნენ და კლავდნენ წამებით, ასევე ჩეჩენ ბავშვებს იყენებდნენ დონორებად და უცხოეთში ყიდდნენ მათ ორგანოებს, დაკავებული სამხედრო პირების ხშირ შემთხვევაში კი მშვიდობინი მოქალაქეების გასანთავისუფლებლად ან გარდაცვლილთა ნეშთის გადმოსაცემად გამოსასყიდს ითხოვდნენ. რუსი სამხედროების მიერ მოსახლების გაქურდვა, გატაცებები, ქრთამის აღება, ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაცია ჩეჩნეთის ყოველდღიურობა გახდა.

ჩეჩნეთის მეორე ომის დროს 1999-2000 წლებში რუსულმა ჯარებმა ქვეყნის დედაქალაქი გროზნო ალყაში მოაქციეს და მიწასთან გაასწორეს, რის შედეგადაც რუსები ფიქრობდნენ ,რომ გროზნოსი წინააღმდეგობები რამოდენიმე დღეში შეწყდებოდა და ქალაქი მათი კონტროლის ქვეშ გადავიდოდა, თუმცა ასე არ მოხდა და რუსეთის ფედერციის ჯარების შემდეგი სვლა იყო ქალაქის გარშემო ე. წ. „რკინის რგოლის“ ფორმირება, საიდანაც ვერავინ ვერ შეძლებდა თავის დაღწევას, თუმცა მიუხედავად ქალაქის იზოლაციაში მოქცევისა, ჩეჩენმა მებრძოლებმა შეძლეს „რკინის რგოლის“ გარღვევა და ქალაქის დატოვება.

გროზნოს მიწასთან გასწორების შემდეგ , რუსეთმა აღიდგინა კონტროლი სეპარატისტულ ანკლავზე, თუმცა ამის მიუხედავად ჩეჩნეთში არ შეწყვეტილა საომარი მოქმედებები. ჩეჩნეთის საველე მეთაურებმა და პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა პარტიზანული ბრძოლები გააგრძელეს რუსების წინააღმდეგ ჩეჩნეთის სამხრეთით, კავკასიის მთებში. აჯანყებულებმა შექმნეს საბრძოლო დანაყოფები, თითოეულ დანაყოფში ათიდან ოცდაათამდე მეომარი შედიოდა

და ამ დანაყოფებმა დაიწყეს მოულოდნელი ტავდსახმების განხორცილება რუსეთის არმიაზე.

2000 წლიდან რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ საღვთო ომში ებმებიან ქალი ტერორისტ მკვლელები ე.წ შავი ქვრივები, რომელთა მამოძრავებელი ძალაც რუსეთზე შურისძიების სურვილი იყო, რადგან რუსეთ-ჩეჩნეთის ომში მათ შვილები, ქმრები, მამები და უახლოესი ადამიანები დაკარგეს. ჩეჩნურ საზოგადოებაში გავრცელებული სისხლის აღების წესის თანახმად ჩეჩენი ქალები ვალდებულნი იყვნენ ჩაბმულიყვნენ საომარ მოქმედებაში და ოჯახის წევრების დაკარგვის გამო შური ეძიათ რუსებზე და მათი მონაწილეობით განხორციელდა მრავალი ტერორისტული აქტი რუსების წინააღმდეგ. 2001 წლიდან რუსეთმა დაიწყო ანტი ტერორისტული ოპერაციების ჩატარება , რაც მიზნად ისახავდა ჩეჩენ მეამბოხეთა განადგურებას. რუსების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციების შედეგად ლიკვიდირებულ იქნენ ჩეჩნეთის ლიდერები და საველე მეთაურები: ასლან მასხადოვი, იბნ ალ ხატაბი, რუსლან გელაევი, აბუ ალ ვალიდი, სალმან რადუევი.

შამილ ბასაევის ლიკვიდაცია კი მხოლოდ 2006 წლის 10 ივლისს მოხერხდა რუსეთის სპეცსამსახურების სპეციალურად დაგეგმილი ოპერაციის შედეგდ. 2000 წლის მაისში ჩეჩნეთში ვლადიმერ პუტინმა დაამყარა რუსული მმართველობა , შექმნიდა პრორუსული ორიენტაციის ხელისუფლება, რომელსაც ხელმძღვანელობდა აჰმედ კადიროვი. კადიროვი რუსეთ - ჩეჩნეთის პირველი ომის დროს იბრძოდა რუსების წინააღმდეგ თუმცა მეორე ომის დროს რუსეთის მხარეს გადავიდა.

2002 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ჩეჩნეთში ომი დასრულებულად გამოაცხადა, რა რეალურად რუსეთის მოსახლეობის მოტყუება იყო რადგან, საომარი ოპერაციები ჩეჩნეთის სამხრეთ ნაწილში კვლავ გრძელდებოდა პარტიზანული ბრძოლები, ასევე ჩეჩენი აჯანყებულები პოლიტიკური მიზნის მისაღწევად ხშირად მიმართავდნენ ტერორისტულ აქტებს.

2003 წლის 5 ოქტომბერს ჩეჩნეთში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც აჰმედ კადიროვის გამარჯვებით დასრულდა. კადიროვის გაპრეზიდენტების შემდეგ მისი მოკვლა ჩეჩნებმა რამოდენიმეჯერ სცადეს და მალვე 2004 წლის 9 მაისს გროზნოში სტადიონზე ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავ ზეიმზე მოხდა აფეთქება და ლიკვიდირებულ იქნა კადიროვი.

კადიროვის შემდეგ პრეზიდენტის თანამდებობაზე დაინიშნა ალუ ალხანოვი, რომელიც 2007 წელს ჩაანაცვლა აჰმედ კადიროვის შვილმა რამზან კადიროვმა, მან შეძლო ჩეჩნეთში წესრიგის დამყარება თუმცა მიღწეული წარმატება მოიცავდა, ადამიანის უფლებების დარღვევას, წამებას, გატაცებებს და მკვლელობებს. კადიროვის რეჟიმის დამყარების შემდეგ , რუსეთმა შეცვალა ჩეჩნეთის მიმართ სტრატეგია და ჩეჩნეთზე კონტროლის დასამყარებლად ძალის ნაცვლად ფულს იყენებდა. რუსეთის მიერ დაიწყო ერთ დროს მიწასთან გასწორებული გროზნოს რეკონსტრუქცია და იგი კავკასიის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად აქცია. რასაც მოჰყვა 2009 წლის 16 აპრილს რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის მიერ ჩეჩნეთისათვის ანტი ტეროსტილი ოპერაციის ზონის სტატუსის მოხსნა და რუსი ჯარისკაცების გაყვანა ჩეჩნეთიდან. თუმცა შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, სტატუსის მოხსნა და ჯარის გაყვანა ნაადრევი ნაბიჯი იყო, რადგან 2009 წლიდან ძალადობა, ტერაქტები, მკვლელობები ჩეჩნეთის ყოველდღიურობად იქცა. ჩეჩნეთში კვლავ გამოჩდნენ თვითმკვლელი ტერორისტები და ტერორისტულ აქტებს ვერც რუსეთი აცდა, თვითმკვლელმა ტერორისტებმა მოსკოვი - სანქტპეტერბურგის რკინიგზაზე თვით ნაკეთი ბომბი ააფეთქეს, რასაც 28 ადამიანი ემსხვერპლა და მგზავრთა უმრავლესობა დაიჭრა და დასახიჩრდა.

2010 წელს მოსკოვის მეტროში განხორციელებულ ტერაქტს, რომელსაც ემსხვერპლა 39 ადამიანი და დაჭრა 70-ზე მეტი. 2010 წელის ოქტომბერში გროზნოს პარლამენტში შეიჭრნენ ტერორისტები დაჭრეს უამრავი უდანაშაულო მოქალაქე და 3 ადამინი გამოასალმეს სიცოცხლეს. კვლავ დაიწყო ტერორიზმის ახალი ერა, ოფიციალრუ მონაცემებით 2010 წელს ჩეჩნეთში 37 აფეთქება და 12 ტერაქტი განხორციელდა.

2010 წლის განმავლობაში ჩეჩნეთში სამჯერ განხორციელდა ანტი ტეორისტული ოპერაციები, თუმცა ბოევიკთა ლიკვიდაცია მარტივად არ მოხერხდა და რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებულ ანტი ტერორისტულ ოპერაციებს დასასრული არ უჩანდა, რადგან ამჟამად უკვე ჩეჩენ ლიდერებს ჯოხარ დუდაევისა და ასლან მასხადოვისაგან განსხვავებით არა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა არამედ უფრო რადიკალური მიზნები ამოძრავებდათ და მათ მთავარ მიზანს კავკასიაში ისლამური სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა.

ომებმა და ეკონომიკურმა ბლოკადამ ჩეჩნეთს ძალიან დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენა, ჩეჩნეთის მთელი საწარმოო ინდუსტრია რუსეთზეა დამოკიდებული და ნედლეულისა და მასალების მიწოდების გარეშე ქვეყანას არსებობა არ შეუძლია, ბოლო რამდენიმე წელი კი აშკარად შეინიშნება ნედლეულისადა საწარმოო მასალების ნაკლებობაა, ჩეჩნეთის შიდა კრიზისის გაო ასევე წამყვანმა რუსმა სპეციალისტებმა დატოვეს ქვეყანა, რამაც კრიზისი კიდევ უფრო გაამწვავა და დამოუკიდებლად არსებობის მოკლე პერიოდში აშკარად გამოჩნდა რუსეთზე აბსოლიტური დამოკიდებულება, ამ მხრივ აღსანიშნავია დამოკიდებულება ენერგეტიკის სფეროზე. დამოუკიდებლობის პერიოდშიც ჩეჩნეთი ენერგეტიკული მოთხოვნების 40%-ს დაკმაყოფილებას რუსეთის მეშვეობით ახერხებდა.

რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტის ყველზე მნიშვნელოვან ფაქტორად მოიაზრება ენერგორესურსებით მდიდარი კავკასიის კონტროლქვეშ მოქცევა. ოფიცილური მონაცემების თანახმად კასპიის ზღვის აუზში მსოფლიო ნავთობ რესურსების დაახლოებით 5% და მსოფლიო გაზის მარაგის 6% არის დალუქული, რეგიონში დაახლოებით 70-90 ტ.მილიარდამდე ნავთობია. რეგიონში არსებული გაზისა და ნავთობისა რესურსების ხელში ჩასაგდებად და საკუთარი ამბიციებისა და სტრატეგიული ინტერესების დასაკმაყოფილებლად მსოფლიოს ზე სახელმწიფოებს შორის აშკარა დაპირისპირება მიმდინარეობს .

რუსეთს სურს ენერგორესურსებით მდიდარ რეგიონში შეინარჩუნოს თავის გავლენა და ამიტომაც აქტიურად აწარმოებს ომებს ჩეჩნეთში, რადგან ჩეჩნეთის დაკარგვა რუსეთისათვის ენერგორესურსებით მდიდარი კავკასიის დაკარგვას გამოიწვევს და რეგიონში რუსეთის ჰეგემონიის დასრულებას და როგორც რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა კულიკოვმა 1996 წელს განაცხადა:

„ რუსეთისათვის კასპიის ზღვის ენერგომატარებლებზე კონტროლის დაკარგვა იგივეა, რაც რუსეთის მსოფლიო ბაზრისაგან იზოლაცია“[18].

რუსი ექსპერტის ირინა კობრინსკაიას აზრით:

„დიდი იმპერიალისტური ამბიციების მქონე ქვეყანას არ შეიძლეაბა სხვანაირი პოლიტიკური წყობა ჰქონდეს, რუსეთი მულტინაციონალური იმპერიაა, რომელშიც დემოკრატიული პროცესები იმპერიის დაშლის წინაპირობა იქნება, ამიტომაც პუტინის დიქტატორული რეჟიმი ქვეყნის ერთიანობის გარანტად აღიქმება, პუტინმა . ჩეჩნეთში ჩატარებული საომარი ოპერაციებით პუტინმა რუსი საზოგადოება გააერთიანა, შექმნა მტრის ხატი ჩეჩენი ბანდიტების სახით, რომელთა წინააღმდეგაც უნდა გაერთიანებულიყო რუსეთი”[19].

კავკასიაში წარმოებული ომების შდეგად რუსეთი ჩამოყალიბდა ავტორიტარულ, არადემოკრატიულ სახელმწიფოდ სადაც მუდამ ირღვევა ადამიანის უფლებები არ არსებობს ტოლერანტობა, აზრისა და სიტყვის თავისუფლება.

თავი 3 - რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში დასავლეთის რეგიონებისადმი ინტერესების ზრდის ფონზე

[18] რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომი: ბრძოლის დღეები. [კულიკოვი 1996 წ] https://militarium.org/ruset-chechnetis-meore-omi/

[19] [Ирина Корбинская 29 июл. 2014 г.] https://www.1tv.ru/news/2014-07-29/38339-v_bryussele_odobrili_novyy_paket_sanktsiy_protiv_rossii?start=auto

3.1 საქართველოს დასავლური ვექტორი, რუსეთ-საქართველოს გართულებული ურთიერთობები და ეთნიკური კონფლიქტები

რუსეთის ფედერაციას საქართველოს მიმართ სამ საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ყოველთვის საკუთარი მიზნები და ინტერესები გააჩნდა, რომელთა მიღწევას სხვადასხვა სადაზვერვო ხასიათის მეთოდების გამოყენებით ცდილობდა და ახერხებდა. საქართველოზე, დიდი ინტერესი გამოწვეულია არა მარტო ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანის ფუნქციით, არამედ ევრაზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან დამაკავშირებელ უმოკლეს გზით, როგორც ენერგორესურსების სატრანზიტო სახელმწიფოზე ზეგავლენა, რუსეთის ფედერაციას ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო სარგებლის მიღებისა და რეგიონზე დომინირების მყარ გარანტიებს აძლევს. ამასთან ერთად აღნიშნული ზეგავლენა თავსებადია რუსეთის ფედერაციის უმთავრეს მიზანთან, რომელიც მსოფლიო ასპარეზზე გლობალური მოთამაშის რანგში დაბრუნებას ემსახურება ამ მიზნის მისაღწევად კი მას სჭირდება სამეზობლოში სრული გავლენის აღდგენა.

რუსეთის ფედერაციის საქართველოს მიმართ გატარებული პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს: საქართველოში, რუსეთის ფედერაციაში და საერთაშორისო ასპარეზზე ისეთი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება როგორიცაა - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი აღარასოდეს დაუბრუნდება საქართველოს. ამ ფონზე იგი ქმნის ყველა პირობას, თანამედროვე ეტაპზე ოკუპირებული ქართული ტერიტორიების რუსეთის ფედერაციასთან მთლიანად შერწყმის (ანექსიის) თვალსაზრისით. პრაქტიკულად იქმნება შესაძლებლობა ძლიერი სამხედრო პლაცდარმის შესაქმნელად ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ჩვენი ქვეყნის მოსაზღვრე რეგიონებში, რაც სამხედრო უპირატესობის მოპოვებისა და საქართველოში ნატოს ქვეყნების ჯარების განლაგების საწინააღმდეგოდ ერთგვარი პრევენციაა. რადგან რუსეთი ნატოს ჯარების მის საზღვრებთან განლაგებას უდიდეს საფრთხედ აღიქვამს მის საზღვრებთან დასავლური ალიანსის გამოჩენას, და იმ

ფონზე როდესაც საქართველოს დასავლური ვექტორი აქვს არჩეული და სურს ჩრდილოა- ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება. რუსეთი მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტით შეეცდება ხელი შეუშალოს ქართულ - დასავლური ურთიერთობების გამყარებას, ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურად იყენებს ისეთ მეთოდებს, როგორიცაა ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების ინსპირირება.

საქართველოს დესტაბილიზაციისათვის ინსპირირებულ კონფლიქტებს შორის ყველაზე სასტიკი და მძიმე შედეგების მქონე იყო აფხაზეთის კონფლიქტი, რომელიც ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე დაატყდა თავს.

აფხაზეთი 1921 წელს გასაბჭოვდა და ოფიციალურად მოიხსენიებოდა აფხაზეთის სოციალური საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც ცნო საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა დ სწორედ ამის საფუძველზე მოითხოვდნენ აფხაზები დამოუკიდებლობას. თუმცა ამ ომში კონფლიქტის მთავარი საფუძველი გახდა 1921 წლის მარტის რეფერენდუმი, რომელიც ეფუძნებოდა გორბაჩოვის მიერ შემოთავაზებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. ამ რეფერენდუმში მონაწილების მიღება საქართველოს ხელისუფლებამ აუკრძალა მოსახლეობას. აფხაზებმა მაინც მიიღეს მონაწილეობა და სრული მხარდაჭერა და თანხმობა მისცეს საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას. აფხაზების მიერ აღდგენილ იქნა 1925 წლის კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ განსაზღვრებოდა, თუმცა სპეციალური ხელშეკრულების თანახმად განიხილებოდა როგორც საქართველოსთან შემავალი რესპუბლიკა, ამ ნაბიჯით აფხაზეთმა პრაქტიკულად დამოუკიდებლობა გამოცხადა.

1991 წელს საქრთველომ, საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ამ დროს აფხაზეთი მისი ტერიტორიის განუყოფელი ნაწილი იყო. აფხაზებს გაუჩნდათ შიში, რომ მათი ენა, კულტურა და ეროვნული იდენტურობა საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა და თანდათან იზრდებოდა მათი პოლიტიკური მოთხოვნები და ავტონომიის მოთხოვნა.

აფხაზეთის ამ ნაბიჯს პასუხი საქართველოს მხრიდან 1992 წლის 14 აგვისტოს სამხედრო მოქმედებები იყო თუმცა აღნიშნული ქმედებები

განხორციელდა მთავრობის მხრიდან ნაკლებად კონტროლირებადი შეიარაღებული დაჯგუფებების მხრიდან, თვიდან აფხაზებმა უკან დაიხიეს თუმცა მალევე მათ გააგრძელეს ბრძოლა ადგილობრივი სომხებისა და დაქირავებული მებრძოლების(ჩრდილოეთ კავკასიიდან) დახმარებით,ასევე მათ ჰქონდათ რუსი სამხედრო შენაერთების სრული მხარდაჭერა, დაიწყო 13 თვიანი ომი, რომელიც ზამთრამდე გაგრძელდა და შემდეგ დროებით შეწყდა 1993 წლის მარტში კი აფხაზებმა კვლავ განაახლეს შეტევები, ისარგებლეს საქართველოში არსებული შინაარეულობით (მიმდინარეობდა სამოქალაქო იმი ზვიადისტებთან) აიღეს ქალაქი სოხუმი და პრეზიდენტი შევარდნაძე აიძულეს გაქცეულიყო ქალაქიდან. რის შემდეგაც აფხაზეთის მთელი ტერიტორია აფხაზთა კონტროლის ქვეშ მოექცა.

ქალაქიდან ძალის მიერი მეთოდებით გამოაძევეს მილიონამდე ეთნიკურად ქართველი, კონფლიქტის შედეგად დაიღუპა ათი ათასზე მეტი ქართველი ასევე უგზო-უკვლოდ დაიკარგა ასეულობით მშვიდობიანი მოქალაქე. ამ ომში მედიატორის როლს ასრულებდა გაერო, თუმცა მოლაპარაკებების რამოდენიე რაუნდის მიუხედავად გაეროს ძალებმა კონფლიქტის მოგვარება ვერ შეძლო. საქართველოსათვის ამ ომის შედეგები ძალინ მძიმე იყო მიიღო ძალინ დიდი დანაკარგი, აღმოჩნდა ფინანსური და ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ, ქვეყანას თავი შეაფარა ათასობით იძულებით გადაადგილებულმა პირმა რომელთაგან ბევრი ჯერ კიდევ არაადამიანურ პირობებში ცხოვრობს.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს მეორე კონფლიქტური კერაც ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეთნო ტერიტორიული კონფლიქტი საქართველოსა და ოსეთს შორის, რომელშიც ორივე მხარეს აქვს საკუთარი პოზიცია. საქართველო სამხრეთ ოსეთის საქართველოს ისტორიულ და განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს ხოლო ოსეთი სამხრეთ ოსეთს ერთიანი ოსეთის განუყოფელ ნაწილად განიხილავს.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო პროვოკაციები, საქართველოს უმაღლესი

საკანონმდებლო ორგანო ცდილობდა მშვიდობიანად მოლაპარაკებებისა და შეთანხმების საფუძველზე მოეგვარებინა რუსეთის მიერ ინსპირირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები. 1990 წლის 20 სექტემბერს ანდრეი სახაროვის წაქეზების შედეგად , რომელმაც განაცხადა რო, საქართველო მცირე იმპერიაა სამხრეთ ოსეთის სახლხო დეპუატატთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკად გარდაქმნის, აღნიშნული დადგენილება გააუქმა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდენტმა უმცა მიუხედავად ამისა წაქეზებული ოსი სეპარატისტები, საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედებებს აგრძელებდნენ, რასაც საქართველოს მხრიდან ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუბევის მიზნით 1991 წელს შეიარაღებული შეტაკება მოჰყვა. ქართველები და ოსები რომლებიც მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ ახლა გარე ძალის წაქეზებით ერთმანეთს ხოცავდნენ.

1992 წლის 22 ივნისს ედუარდ შევარდნაძემ და ბორის ელცინმა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის ლიდერების თანდასწრებით ხელი მოაწერეს სოჭის შეთანხმებას თუმცა სამხრეთ ოსეთის უკმაყოფილო იყო აღნიშნული ხელშეკრულები პირობებით და ცეცხლის შეწყვეტაზე უარი განცხადა რასაც მოჰყვა კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მობილიზება რომელიც მოიცავდა რუსების, ქართველებისა და ოსების სამხედრო შენაერთებს, რომლთაც 1992 წლის 14 ივლისს დაიკავეს პოზიციები რის შედეგადაც შეწყდა საომარი მოქმედებები.

საომარი მოქმედებიბი სამხრეთ ოსეთში 1992 წელს სახბოლოოდ არ დასრულებულა და 2008 წლის აგვისტოში კვლავ გაღვივდა გაყინული კონფლიქტი და ბრძოლა დაიწყო საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის აფხაზ და ოს სეპარატისტებთან ერთად. ეს ბრძოლა თავისი არსით იყო გლობალური ომი რუსეთსა და დასავლეთს შორის, ამ ომით რუსეთმა ფაქტიურად მიაღწია თავის სამხედრო პოლიტიკურ მიზნებს მან გაიმყარა პოზიციები რეგიონში და გადაჭრა იმ დროისათვის მის წინაშე მდგარი ამოცანები, ამ ომს მოჰყვა ყირიმის მიტაცების ფაქტი, რითაც ფაქტიურად

შეცვალა იმ დროისათვის არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა და ძალთა ბალანსი.

2008 წლის ომში რუსეთს უნდა გადაეჭრა მნიშვნელოვანი ამოცანა, მას არ ჰქონდა სიმყარის განცდა ჩრდილოეთ კავკასიაში, რადგან მან ვერ შეძლო გადაეკეტა საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში, როგორც ადამინების ასევე შეიარაღების და ფულადი ნაკადების ტრანზიტი.

ომის შემდგომ პერიოდში ერთბაშად დავარდა საბრძოლო მოქმედებების ინტენსივობა. 2008 წლის ომში მან შეძლო ორი ისეთი მნიშვნელოვანი პლაცდარმის შექმნა სამხრეთ კავკასიაში, რომელმაც რუსეთის წინაშე არსებული სამხედრო-პოლიტიკური ამოცანა მის სასიკეთოდ გადაჭრა, დაიკეტა ჩრდილოეთ კავკასია და შეეზღუდა შესაძლებლობა ჰქონოდა რუსეთის გარეთ მყოფ გარე ძალებთან უშუალო კავშირი, რომლებიც მას უზრუნველყოფდნენ. ამ გზით რუსეთმა რეალურად შეძლო რუსეთზე გამავალი კორდონის შექმნა.

ქართულ-ოსური კონფლიქტი, რომელიც ორი ათწლეული გაგრძელდა 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიან ომით კონფლიქტი საბოლოოდ დასრულებულად ვერ ჩაითვლება, თუმცა ამ ომის შემდეგ რუსეთმა ოფიციალურად აღიარა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კი რუსეთის სამხედრო ბაზები განათავსა, ორივე ახლად აღიარებულ რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რაც იყო საქართველოსთვს პირდაპირი მინიშნება, რომ ის მუდამ უნდა ელოდებოდეს უსიამოვნო მოულოდნელობებს, ნატოში ინტეგრაციის საპირწონედ.

რუსეთი ყოველთვის ნატოს მიმართავდა, რომ არასოდეს არ დაუშვებდა ნატოს ჯარების მის საზღვრებთან გამოჩენას თუმცა ამჯერად გზავნილის ადრესატი იყო საქართველო, რომელსაც მკაფიოდ გადაეწყვიტა ნატოში ინტეგრაცია.

რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებით ხისტ სამხედრო დაპირისპირებასთან ერთად რბილი ძალის ელემენტებსაც შეიცავს, რომელშიც ჭარბობს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა სადაზვერვო პროპაგანდა. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა, სამხედრო ოკუპაციის ფონზე პრორუსული განწყობების ფართოდ გავრცელება, რაც ანტიდასავლური პროპაგანდის გაძლიერებას ემსახურება. ამ კონტექსტში გამოსაყენებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად საერთო რელიგიური და კულტურული ფასეულობები გამოიყენება. სადაზვერვო მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად, რუსეთის ფედერაციის ინტერესებში საქართველოში მმართველობის სისტემისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტური ფუნქციონირების მოშლა წარმოადგენს, რომელიც ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ტიპის პრობლემების გაღვივებით მიიღწევა შიდაპოლიტიკური სტაბილურობის შესასუსტებლად.

ეკონომიკური დაზვერვის კუთხით რუსეთის მნიშვნელოვან მიზანს რუსულ ბაზარზე საქართველოს დამოკიდებულების მასშტაბების ეტაპობრივი ზრდა და გაძლიერება წარმოადგენს. ამ კუთხით, ღია წყაროებში არსებულ მონაცემთა ანალიზი იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ 2008 წლამდე და მის შემდგომ პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ სახელმწიფოსათვის სტრატეგიული (მათ შორის ენერგეტიკული) ობიექტები გადასცა რუსეთის ფედერაციას. დიდი ალბათობით აღნიშნული ფაქტი სადაზვერვო ზეგავლენითა და შეღწევადობით არის მიღწეული.

საქართველოში არსებული ვითარების გამოსწორებისათვის, რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო ინტერესების საწინააღმდეგოდ აუცილებელია საქართველოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების აქტიური და კოორდინირებული საქმიანობა, რაც არა მხოლოდ რეაგირების, არამედ პრევენციის რეჟიმში აქტიურ მოქმედებას გულისხმობს. ამ მიმართულებით წარმატება საქართველოს დეოკუპაციის და არსებული კონფლიქტების გადაწყვეტის, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების საფუძველი გახდება.

3.2 . სომხეთი როგორც რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი

სომხეთის როგორც სამხრეთ კავკასიის ბუფერული სახელმწიფოს პოლიტიკური ვექტორი, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა განსაზღვრა, სადაც რუსეთი მფარველ ძალად აღიქმებოდა და კონფლიქტში გაწეული დახმარებით რუსეთმა ქვეყანაში მოიპოვა მძლავრი გავლენის სფეროები.

სომხეთი რუსეთის ფედერაციისათვის თავისი განსაკუთრებული დადებითი პოზიციით სარგებლობს რეგიონში. იგი, როგორც რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების მასპინძელი, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის, ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრი სახელმწიფო, რუსეთის ძირითადი დასაყრდენია, ისეთ პოლარიზებულ რეგიონში, სადაც რუსეთის ფედერაციას განსაკუთრებით ესაჭიროება მხარდაჭერა დასავლური სანქციების წინააღმდეგ. ამ ორი ქვეყნის მჭიდრო კავშირი მათ სადაზვერვო კოორდინაციაზე უნდა მიანიშნებდეს.

საბჭოთა კავშირის დაშლის და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში სომხეთზე რუსეთის ფედერაციის მიერ, სადაზვერვო ზეგავლენის ორგანიზება მეზობელ სახელმწიფო აზერბაიჯანთან მთიანი ყარაბაღის ომის ინსპირირებით იქნა განპირობებული. კონფლიქტში უპირატესობის მოსაპოვებლად და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სომხეთი იძულებული გახდა რუსეთის ფედერაცია მიეღო, როგორც უსაფრთხოების მიმწოდებელი სახელმწიფო. ამ დამოკიდებულების გაღრმავება დღის წესრიგში განსაკუთრებით მას შემდეგ დადგა, რაც:

- აზერბაიჯანმა დაიწყო თავდაცვის ხარჯებისა და შესყიდვების მასშტაბური ზრდა;
- გახშირდა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევები, პარალელურად, სომხეთის დამოკიდებულება რუსეთზე ფართოვდებოდა . შესაბამისად, რუსეთის ფედერაციამ, სომხეთის ეკონომიკის წამყვან

სექტორზე, მათ შორის ეროვნული რკინიგზის ქსელზე, სრული კონტროლის განხორციელება შეძლო. სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მსგავსად, სომხეთმა საკუთარი ენერგოუსაფრთხოება რუსული ბუნებრივი გაზის სუბსიდირებული იმპორტით გაამყარა.

ბოლო წლების განმავლობაში რუსეთის - როგორც სომხეთის უსაფრთხოების პატრონის - მიდგომა მნიშვნელოვნად შეიცვალა და თანდათანობით მიაღწია ფაზას, როდესაც რუსეთი გახდა შეიარაღების ძირითადი მიმწოდებელი კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარისთვის: რუსეთი აწვდიდა იარაღს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით სომხეთის და პარალელურად უფრო განვითარებულ და უფრო ძვირ შეიარაღების სისტემებს აწვდიდა აზერბაიჯანს. ყოველივე რუსეთის ფედერციის სამხედრო დაზვერვის უპირატესობაზე უნდა მიანიშნებდეს, როგორც სომხეთის, ისე აზერბაიჯანის სამხედრო სადაზვერვო სამსახურებთან მიმართებით.

საბოლოო ჯამში რუსეთის ფედერაციამ მოიპოვა და დღემდე ინარჩუნებს მედიატორის როლს ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებით. მიღწეულია ვითარება, როდესაც ამ კონფლიქტში მედიატორის როლით მონაწილე სახელმწიფოებმა საფრანგეთმა და ამერიკის შეერთებული შტატებმა პრაქტიკულად აღიარეს რუსეთის ფედერაციის ძალაუფლება და გავლენა სამხრეთ კავკასიაში; მიღწეულია ვითარება, როდესაც აზერბაიჯანშიც რუსეთის ფედერაცია გადამწყვეტი როლის მქონე მხარედა არის აღიარებული აღნიშნული კონფლიქტის მოგვარებაში.

3.3. აზერბაიჯანი როგორც ტრიმერი

სამხრეთ კავკასიის თითოეული ქვეყანა გვევლინება, როგორც ბუფერული ზონა თუმცა ეს არა მათი არჩევანი არამედ მათი გეოგრაფიული მახასიათებლების შედეგია და მათი სტატუსიდან გამომდინარე გააჩნიათ

მათთვის დამახასიათებელი საგარეო პოლიტიკა, აზერბაიჯანი გვევლინება, როგორც ტრიმერი სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ამავდროულად არჩეული კურსი მას ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსს ანიჭებს, რასაც ამყარებს მისი პოლიტიკით, მეზობელი სახელმწიფოების კონფლიქტებში ატარებს მიუმხრობლობის პოლიტიკას და საკუთარ ტერიტორიაზე არ უშვებს მათ შეიარაღებულ ძალებს. შეგვიძლია ვთქვათ ,რომ აზერბაიჯანი ერთადერთი ქვეყანაა სამხრეთ კავკასიაში, რომლის ტერიტორიაზეც არ არის სხვა რომელიმე ქვეყნის შეიარაღებული ძალები.

საბჭოთა კავშირიდან განთავისუფლებული თანამედროვე აზერბაიჯანი, ცდილობს საერთაშორისო ასპარეზზე აწარმოოს დამოუკიდებელი პოლიტიკა და შეინარჩუნოს ეროვნული ღირებულებები და თვითმყოფადობა. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის პოლიტიკური კურსით გამორჩეული აზერბაიჯანი მუდამ ცდილობს ძლიერ ქვეყნებთან ურთიერთობის დაბალანსებას. რასაც ახერხებს ქვეყანაში არსებული ნავთობის მარაგით .

ქვეყანაში არსებული ბუნებრივი რესურსების მარაგი აზერბაიჯანისათვის დიდი პრიორიტეტია, რაც მას აძლევს შესაძლებლობას გაატაროს მისთვის სასურველი პოლიტიკა და განიმტკიცოს პოზიციები როგორც რეგიონში ასევე საერთაშორისო ასპარეზზე.

თანამედროვე ეტაპზე ოფიციალურად რუსეთისა და აზერბაიჯანის ხელმძღვანელების შეფასებით, მათი ურთიერთობა შეიძლება იყოს "სტრატეგიული პარტნიორობა". თუმცა მიუხედავად ამისა რუსეთი აზერბაიჯანთან მიმართებით ეფექტურად იყენებდა ძლიერი ძალის, მათ შორის სადაზვერვო ზემოქმედების უზრუნველმყოფ ინსტრუმენტებს, კასპიის ზღვის სტატუსთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლის მნიშვნელოვან მიზანს აზერბაიჯანზე კონტროლის შენარჩუნება წარმოადგენდა. მასშტაბური ზეწოლის მიუხედავად, პირველ ეტაპზე აზერბაიჯანის ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებამ, ბაქოს პოლიტიკური ავტონომიურობის მყარი გარანტი შეუქმნა.

თანამედროვე პერიოდში პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ პოლიტიკის

ეკონომიკის, მიგრაციის და ენერგეტიკის საკითხებში ბაქო რუსეთზეა დამოკიდებული. საუბარია:

1) სამხედრო-პოლიტიკურ სფეროზე, რომელშიც დიდ როლს თამაშობს მთიანი ყარაბაღის საკითხი;

2) ეკონომიკაზე, სადაც რუსეთი აზერბაიჯანული პროდუქტების ყველაზე დიდი მომხმარებელია;

3) მიგრაციის საკითხზე – ის, რომ რუსეთში აზერბაიჯანის მოქალაქეობის მქონე ხუთასი ათასი ადამიანი ცხოვრობს;

4)ენერგეტიკის სფეროზე, რომელშიც რუსეთის ფედერაცია და აზერბაიჯანი ევროპისათვის ენერგომატარებლების მიმწოდებლის როლში გვევლინებიან. აღნიშნული ვითარების მიღწევა შესაძლებელი გახდა აზერბაიჯანთან მიმართებით, რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო ზეგავლენის მოპოვების უზრუნველყოფით, ძლიერი ძალის პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებაზე თანდათანობით უარის თქმით და 2012 წლის შემდეგ რბილი ძალის წარმატებით გამოყენებით.

თანამედროვე აზერბაიჯანში რუსული მედია და საგანმანათლებლო პროექტები საკმაოდ მასშტაბურად ხორციელდება იმ ფონზე, როდესაც მცირდება დასავლური საგანმანათლებლო პროგრამები. რუსული საგანმანათლებლო პროგრამების მასშტაბურობა აზერბაიჯანის უნივერსიტეტებსა და ქვეყნის რუსულენოვან სკოლებში ბაზრის მოთხოვნითაც არის განპირობებული. შესაბამისად, რუსული საუნივერსიტეტო განათლება აზერბაიჯანელ კურსდამთავრებულებს მოსკოვზე ორიენტირებულ მსოფლმხედველობას ჩამოუყალიბებს, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოებრივ საქმეებსა და სამთავრობო წრეებში, ქვეყნის პოლიტიკის განმსაზღვრელ პროცესზე[20] მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენის წინაპირობად უნდა იქნას აღქმული.

[20] შირიევი, ზ. (2017 წლის 17 10). *" heinrich boll stiftung"*. დაბრუნებული ორ აღცევანს შორის :რუსეთის რბილ ძალასთან დაკავშირებული რეალობა.-დან https://ge.boell.org/ka/2017/10/17/or-archevans-shoris-rusetis-rbil-zalastan-dakavshirebuli-realoba

3.4. რუსეთის კავკასიური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები და პერსპექტივები

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას მოჰყვა დიდი გეოპოლიტიკურ ცვლილებები, ეს ცვლილებები განსაკუთრებით შეეხო რუსეთს, რომელიც ამ ცვლილებების ცენტრში იყო, სადაც ჩამოიშალა არსებული სტრუქტურა და ქვეყანა გაქრობის ზღვარზე იდგა თუმცა ამ კრიზისულ პერიოდში ხელისუფლებაში მოხვდა ისეთი ფიგურა, რომელმაც შეძლო ქვეყნის ჩამოშლისა და განადგურების შეჩერება და ღრმა კრიზისიდან გამოყვანა შეძლო, კვლავ მყარად დადგა ფეხზე და კვლავ გაუჩნდა ამბიცია საერთაშორისო ასპარეზზე ზე სახელმწიფოს როლში რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს, საერთაშორისო თანამეგობრობაში მყარი და ავტორიტარული პოზიციის დაკავება ამ მიმართულებით მისთვის კავკასია ერთ-ერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონია, რადგან ყოფილ რესპუბლიკებზე გავლენის აღდგენა, რუსეთის უსაფრთხოების უპირველესი გარანტიაა.

სამხრეთ კავკასია არა მარტო რუსეთის ინტერესის საგანს წარმოადგენს არამედ იგი მრავალი ქვეყნის ინტერესთა გადაკვეთის წერტილია და მიმდინარე პოლიტიკური ვითარებით ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილს წარმოადგენს. რეგიონში მუდმივი არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა დიდად უწყობს ხელს რუსეთის ფედერაციის ინტერესების გატარებას რეგიონის სამივე ქვეყანა რუსეთის ფედერაციისთვის სადაზვერვო ზეგავლენისა და შეღწევადობის მნიშვნელოვანი ობიექტია.

რეგიონში რუსეთის სადაზვერვო კონტროლის შენარჩუნების საფუძველს იძლევა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ინსპირირებული მთიანი ყარაბაღის, ხოლო საქართველოში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტები. ეს ტერიტორიები გამოყენებულია რა ბუფერულ ზონებად, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო ზეგავლენის გავრცელებისათვის, შესაბამისად, ტერიტორიული კონფლიქტები გაყინულ მდგომარეობაში ხანგრძლივი

პერიოდით დარჩენის პერსპექტივას ინარჩუნებენ. გარდა ამისა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად რუსეთს სამხედრო ბაზები ჰყავს განთავსებული სეპარატისტულ ტერიტორიაზე, ამ ნაბიჯით გაიმყარა მან პოზიციები სამხრეთ კავკასიაში, აკონტროლებს მთელს კავკასიას ამიტომაც გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევების ფონზე არასოდეს არ დაუშვებს ნატოს ჯარების მოახლოებას მისთვის სახიფათო მანძილზე. რადგან ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გაფართოება და მისი ჯარების მოახლოება რუსეთის ფედერაციის ეროვნული ინტერესბის და უსაფრთხოების თვალსაზრისით ყველაზე სერიოზულ საფრთხედ აღიქმება. ამ საფრთხის ასარიდებლად არ ერიდება უხეში სამეზობლო პოლიტიკის გატარებას, რაც საქართველოს შემთხევაში ეროვნული ინტერესების გათელვის საფუძველზე ხდება მცოცავი ოკუპაციის სახით.

რუსეთის უხეშ პოლიტიკას თავისი უარყოფითი შედეგები აქვს თანამედროვე საერთაშორისო სიტუაცია ბევრად უფრო რთულია დღეს რუსეთისათვის , ვიდრე ოდესმე, იგი მოქცეულია ეკონომიკურ იზოლაციაში და შეერთებული შტატებისა და დანარჩენი დემოკრატიული სამყაროს მხრიდან საფრთხეების, გამოწვევებისა და გარე პროვოკაციების სამიზნეა. ამ თვალსაზრისით, რუსეთი ძალიან მნიშვნელოვან ზომებს იღებს, რაც მოიცავს თავისი არმიის მოდერნიზებას, CSTO- ს, დსთ-ს ფარგლებში უსაფრთხოების სისტემების განვითარებას, მჭიდრო თანამშრომლობას ჩინეთთან, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან. ყველა ეს ზომა, ნათლად აჩვენებს, რომ რუსეთი მზად არის მოიგერიოს დასავლეთის მხრიდან გარე თავდასხმები და მოახდინოს თავისი ეროვნული ინტერესების რეალიზაცია ნებისმიერ ფასად.

მიუხედავად დასავლეთის მწვავე რეაქციისა რუსეთის მიერ ჩადენილ სამხედრო ქმედებებზე, მალევე იძულებული გახდა რუსეთთან დათბობის პოლიტიკა ეწარმოებინა, რადგან რუსეთმა დასავლეთს პირდაპირი მინიშნება მისცა იმაზე, რომ თუკი რუსეთს სჭირდებოდა დასავლეთი, დასავლეთსაც სჭირდებოდა რუსეთი.

ამერიკის და დასავლეთის გარდა რუსეთის პირდაპირი საფრთხე და მოწინააღმდეგე ძალა ჩინეთია, თუმცა იმისათვის ,რომ რუსეთმა შეძლოს ჩინეთან დაპირისპირება მას უნდა ჰქონდეს ფლანგი და ზურგი დაცული, ამ შემთხვევაში ზურგი არის დასავლეთით მდებარე ქვეყნები, რაც ესაზღვრება ევროპას და ზურგი არის ყირიმი და სამხრეთ კავკასია. ამრიგად მან ამ ტერიტორიებზე უნდა იგრძნოს სიმყარე და შეძლოს ძალების მობილიზება და მიმართვა აღმოსავლეთიდან მომდინარე საფრთხის შესაკავებლად და მიუხედავად მათ შორის არსებული მოჩვენებითი მეგობრობისა მათ შორის მიმდინარეობს თამაში და ეს გაგრძელდება მანამდე სანამ ერთ-ერთი მათგანი არ მიაღწევს სრულ სტრატეგიულ უპირატესობას. ამრიგად რუსეთის მთავრი ამოცანაა მუდამ აკონტროლებდეს ზურგს და მაქსიმალურად გაიმყაროს პოზიციები ფლანგში და არ დაუშვას გავლენის შესუსტება რეგიონში.

დასკვნა

დასასრულს შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი ისტორიულადაც და თანამედროვე პერიოდშიც, რუსეთის ფედერაციის ინტერესების სფეროს წარმოადგენს. კავკასია რუსეთისათვის დიდ გამოწვევას და, ამასთანავე, სერიოზულ სადაზვერვო ობიექტს წარმოადგენს, რასაც განსაკუთრებით ამძაფრებს მიმდინარე „ცივი ომის" ფონი, სადაც გავლენის სფეროების ახლებური გადანაწილებისათვის იბრძვიან, ერთის მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები და, მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაცია. ამ გადანაწილების დროს მთავარი ყურადღება გადატანილია ენერგორესურსებსა და სატრანზიტო გზებზე. აღნიშნულ პირობებში რუსეთის ფედერაციის უმთავრეს მიზანს მართვის ბერკეტების ხელში ჩაგდება და მსოფლიო ასპარეზზე გლობალური მოთამაშის რანგში დაბრუნება წარმოადგენს და ამის მისაღწევად სამეზობლო, რომელიც რუსეთს საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების ზონად მიაჩნია, კვლავ უნდა მოექცეს მისი უპირობო გავლენის ქვეშ.

რეგიონში რუსეთის ფედერაციის მთავარ ინტერესს წარმოადგენს ნავთობისა და გაზის რესურსები, მათი მოპოვება და მათზე კონტროლი, ინტერესებს კიდევ უფრო ზრდის სამხრეთ კავკასიის მოსაზღვრეობა კასპიის რეგიონთან, ირანთან და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, რადგან ამ ქვეყნებში ნავთობისა და გაზის ძალიან მნიშვნელოვანი მარაგები არის თავმოყრილი, რომლებიც დანარჩენ მსოფლიოს სამხრეთ კავკასიაზე გავლით მიეწოდება.

სამხრეთ კავკასიაში რუსეთის მთავარ გამოწვევას ნატოს ფაქტორი წარმოადგენს, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გაფართოება და მისი ჯარების მოახლოება რუსეთის ფედერაციის ეროვნული ინტერესბის და უსაფრთხოების თვალსაზრისით ყველაზე სერიოზულ საფრთხედ აღიქმება, აღნიშნული საფრთხის პრევენციის მიზნით რუსეთის ფედერაციის მიერ გამოყენებულია ისეთი მეთოდები, როგორიცაა - ეთნიკური და რელიგიური ხასიათის კონფლიქტების ინსპირირება, და ქმნის პირობას თანამედროვე ეტაპზე ოკუპირებული ქართული ტერიტორიების რუსეთის ფედერაციასთან მთლიანად

შერწყმის (ანექსიის) თვალსაზრისით. გარდა ამისა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად რუსეთს თავისი სამხედრო ბაზები ჰყავს განთავსებული სეპარატისტულ ტერიტორიებზე, ამ ნაბიჯით მას გამყარებული აქვს პოზიციები და აკონტროლებს მთელს კავკასიას ამიტომაც გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევების ფონზე არასოდეს არ დაუშვებს ნატოს ჯარების მოახლოებას მისთვის სახიფათო მანძილზე.

ღია წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციების ანალიზით, დოკუმენტების შესწავლისა და მათი შედარების საფუძველზე მივედით დასკვნამდე, რომ რუსეთის ფედერაცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, როგორც კი ისინი გადაუხვევენ პრორუსული კურსიდან საპასუხოდ ყოველთვის მოუწყობს უსიამოვნი სიურპრიზებს, რისი ნათელი მაგლითიც არის რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი. რუსეთის რეგიონზე კონტროლის შენარჩუნების საფუძველს იძლევა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ინსპირირებული მთიანი ყარაბაღის, ხოლო საქართველოში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტები.

ოკუპირებული ტერიტორიები რუსეთის ფედერაციის მიერ გამოყენებულია რა ბუფერულ ზონებად, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო ზეგავლენის გავრცელებისათვის, შესაბამისად, აღნისნული ტერიტორიული კონფლიქტები გაყინულ მდგომარეობაში ხანგრძლივი პერიოდით დარჩენის პერსპექტივას ინარჩუნებენ.

თანამედროვე ეტაპზე კავკასიელ ერთათვის არსებული ამოწვევები თითქმის ისტორიული პროცესების იდენტურია. არ შეცვლილა ჩრდილოელი მეზობლის ამბიციები რეგიონთან მიმართებით და რეგინის სახელმწიფოებს შორის კვლავ არსებობს გარკვეული უთანხმოებები და გაუგებრობები, ამ ფაქტების საფუძველზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისტორია მეორდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გურული. ვ. საქართველო და რუსეთი: მფარველობიდან ანექსიამდე. თბილისი 2010, გვ. 100-105 ;
2. ისმაილოვი. ე., პაპავა. ვ., ცენტრალური კავკასია:გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები-გამომცემლობა: „დიოგენე“ 2007წ.;
3. კომახია. მ, სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფანი: პერსპექტივები და გამოწვევები, საქართველოს სტარატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევი ფონდი, თბილისი 2018 წელი
4. კონრად ადენაუერის ფონდი- „სამხრეთ კავკასია 2018: ფაქტები, ტენდენციები, და სამომავლო სცენარები“-2018წ.;
5. ლაზარაშვილი. ე., „სამხრეთ კავკასიის პრობლემები და გამოწვევები“, 2014წ;
6. ლეჟავა ნ.,ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, „სამხრეთი კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები“-თბილისი 2014წ.;
7. მაცაბერიძე. მ, კავკასიის კონფლიქტების შედარებითი ანალიზი; სალექციო კურსი: კავკასიის შედარებითი პოლიტიკა თემა 6, თბილისი 2014 . გვ, 4-10
8. მაჭარაძ. ვ, გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა , დოკუმენტები, ფოტოფირები. თბილისი 1983, გვ. 22-53 .
9. მოდებაძე.ვ, ჩეჩენი ერის ბრძოლა თავისუფლებისათვის, თბილისი 2015 გვ, 46-95
10. ქუთათელაძე.ზ პავლე ციციანოვი(1754-1806) რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე / ქართული გენი უცხოტომელთა სამსახურში. თბილისი 2011, გვ 174-175.
11. Блиев М. М., Дегоев В. В. Кавказская война. М., 1997. - 163с.
12. Покровский М. Н. Кавказские войны и имамат Шамиля. М., 2009. - 436с

ინტერნეტ რესურსები

1. სომხეთ - რუსეთის ურთიერთობები: შემცირებული სარგებელი, https://ge.boell.org/ka/2017/10/16/somxet-rusetis-urtiertobebi-shemcirebuli-sargebeli 16/10/2017
2. ორ არჩევანს შორის: რუსეთის რბილ ძალასთან დაკავშირებული რეალობა, https://ge.boell.org/ka/2017/10/17/or-archevans-shoris-rusetis-rbil-zalastan-dakavshirebuli-realoba 17/10/2017
3. რონდელის ბლოგი: რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები და საქართველოს უსაფრთხოების სისტემა, https://www.gfsis.org/ge/blog/view/781 04/01/2018
4. კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრი: აინურ რამზანოვა, რუსულ ენაზე მიღებული ცოდნა აზერბაიჯანში, http://crrc-caucasus.blogspot.com/2014/04/knowledge-of-russian-in-azerbaijan.html 21/04/2014

5. Грузинский фактор в Кавказской войне http://www.kavkazoved.info/news/2012/12/12/gruzinskij-faktor-v-kavkazskoj-vojne-k-postanovke-voprosa.html 12/12/2012

6. РОССИЯ ПОСЛЕ СССР: УМЕРЕТЬ РАДИ «ЕВРОПЫ» ИЛИ НЕ УМЕРЕТЬ? http://www.iarex.ru/articles/55061.html 02/01/2018
7. Присоединение Кавказа к России, http://svastour.ru/articles/puteshestviya/rossiya/kavkaz/prisoedinenie-kavkaza-k-rossii.html
8. Этапы покорения Кавказа Россией, http://iamruss.ru/etapy-pokoreniya-kavkaza-rossiej/ 28/02/ 2016
9. Кавказская война 1817-1864 , https://istoriarusi.ru/imper/kavkazskaja-vojna-1817-1864-kratko.html